

619  
1965

საქართველო  
ბიბლიოთეკა



**საქართველო**  
№ 6 036060 1965



ქართული  
ფოტოსტუდია

პირველი ივნისი ლენინის მოედანზე.

ფოტო  
შ. ჩხეტიანისა.


პროეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდი!

**ღარი**

№ 6 (167) ივნისი, 1965 წ.

გამოცემის 45 წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-საბუნებისმეტყველო  
ჟურნალი



ფოტო  
ე. სუსუნიაშვილისა

*Handwritten signature or name in cursive script.*

ბრიგადირი რ. გამაშვილი (მარცხნივ) და ბრიგადის  
წევრი შ. მაისაშვილი მუშაობის დროს.

# ნაკადების სიღებო

5776

— მაინც რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო? — ვეკითხები რევან გამაშვილს... — ირგვლივ განუწყვეტელი გუგუნია — აგერ ამ წუთს გამორთეს ელექტროდუმელი, ფოლადის გამდნარი ლავა მზად არის, რახრახებს ამწე ხილი და ციცხლისფერი სითხით ივსება მრუმე ციცხვი.

— საიდუმლო? პირველი საიდუმლო ეს არის — უნდა მოინდომო, გიყვარდეს შენი საქმე და უველაფერს მიაღწევ... — ბრიგადირმა შავსათვადეებიანი ქუდი მოიხადა, შემომხედა, თვალეში ეშმაკური ნაბერწყლები აუციმციმდა და მითხრა:

— ნამდვილ საიდუმლოს კი ახლა გეტყვი — ერთი კაცი მეხმარება ჩუმად... — ბრიგადირი გულის ჭიბიდან სურათს იღებს და მაწვდის: სურათზე პატარა ბიჭუნაა და თავზე მექსიკური სომბრერო ზურავს. გაოცებული დავცქერი სურათს. ბრიგადირი კვლავ განაგრძობს:

— ჩემი უმცროსი ბიჭია... ოთხი წლისაა, აქვეა, „ცენტროლიტის“ საბავშვო ბაღში... როგორ მეხმარება? რა ვიცი, როგორ აგისნა... რომ გამახსენდება ხოლმე ეს ბიჭი, ფოლადიც ადვილად მემორჩილება...

ბრიგადირს ვთხოვე, მომეცი ეს სურათი-მეთქი, არა, ამას ვერ მოგცემ, სხვას გიშოვნო, და ელექტროდუმელში შესძახა:

— ემა, აქ მოდი, გოჩას სურათი სჭირდება ამხანაგს, უურუნალიდან არის მოსული...

რევანის მეთუღეც ემა გამაშვილიც აქ მუშაობს თურმე ტემპერატურის მწომელოდ. იგი ოჯახშიც ვნახე, ყოველ ნივთს ეტყობა ჩინებული დიასახლისის ხელი, უფროსი ბიჭი — მერაბიც გამაცნო, რომელიც მომავალ სექტემბერში გასწევს სკოლისაკენ.

კომუნისტური შრომის ამ ბრიგადაში სულ ოთხი კაცია. მტკიცეა მათი მეგობრობა. გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ, ფოლადს შეს-

კიდებიან და ეს უველაზე მაგარი შენადნობი კარგად დაუმორჩილებიათ, ღვედევით მოუქნიათ და თავისი სურვილის მიხედვით ათასგვარი სხვადასხვა ფორმა მიუციათ: ხან ელმავლების ნაწილებად გარდაუქმნიათ, ხანაც ლითონის სარანდავ ჩარხებად, ერთი სიტყვით, თავისი სული ჩაუღდამთ. ფოლადში ამ ვაჟაკებს.

ბრიგადის მეთაური რევან გამაშვილი თბილისის ახლო — ნორიოში დაინადა და გაიზარდა. შვიდი კლასი რომ დაასრულა, კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. 1948 წელს კი თბილისში ჩამოვიდა და კუიბიშევის სახელობის ავეჯის ფაბრიკაში დურგლობა დაიწყო. ოთხი წლის შემდეგ საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. ჭარიდან დაბრუნების შემდეგ ფოლადთან შეხმა არჩია. სულ ორი კვირა იყო მოწაფედ. გამოცდილმა ოსტატმა ბიკენტი არჩავამ მალე დაულოცა დამოუკიდებელი ჩამომსხმელის გზა.

რევან გამაშვილმა მეგობარიც გამოიხაზა, ამავე ქარხანაში უფრო ადრე დამკვიდრებული და თუჯის ჩამოსხმაში ხელგაწაფული შალვა მაისაშვილი. ფოლადივით შეკრეს ძმობა და ერთობლივად შეერკინენ ფოლადს.

შალვა მაისაშვილი რაჟის მთებიდან ეწვია ამ ქარხანას. სოფელ წესის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს, კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით, რაიონის ახლგაზრდები თბილისში წამოვიდნენ წარმოებაში სამუშაოდ და აი, პირველადვე აქ მოხვდა. მერე, ხომ იცით, პირველი შთაბეჭდილება უველაზე ძლიერია და ისიც ოჯახივით შეერკია აჭაურობას. ჭერ მეჟალიბიდ მუშაობდა, 1949 წლიდან კი ჩამომსხმელი გახდა.

ბრიგადის დანარჩენი ორი წევრი — სულხან დორეული და ნესტორ ბაგაური ამათი მოწაფეები იყვნენ. მუყაითი მუშაობით ორ თვეში დაეუფლენ ისინიც ჩამომსხმელის პროფესიას და მალე მიიღეს სათანადო კვალიფიკაცია.


ბრიგადა სისტემატურად 180-140 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

დღესაც წარმატებით მუშაობენ. აი, რევანი და შალვა ფიცხლად გაჟვენენ ჰერში გაცურებულ ციცხვს და რიგში ჩამდგარ ყალიბებში ციცხვის ვიწრო ტუჩიდან ისე ჩაახტეს გამდნარი ფოლადი, თითქოს თათარა ყოფილიყოს და საოჯახო ჯამებზე დაენაწილებინოთ.

გატაცებით ვუცქირდი ვაჟაკთა მარჯვენით როგორ გარდაიქმნა გავარვარებული ფოლადი ელმავლების, დუგების, ჩარხების და ათასგვარ მანქანათა სხვადასხვა ფორმის დეტალებად.

საქ. სსრ კ. შალვა მაისაშვილი  
სახ. სახ. რესპუბ.  
გიგლიოთეკა





# საქართველოს პერსპექტიული სამრეწველო ჯიშები

აფთიაქში ასეთ სურათს შევსწარი:  
შუახნის ქალმა კარი სწრაფად შემოაღო, გადაავლო თვალი იქაურობას და მიუახლოვდა სარკმელს, რომელზეც წარწერილი იყო: „რეცეპტების მიღება“. ჩანტიდან რეცეპტი ამოიღო და ფანჯრის იქით გადააწოდა.

— არაფერი არ შემიძლია... ამ წამლის შემადგენლობიდან Amygdalus-ი არა გვაქვს.

ამ უცნაურ სიტყვას ქვეშ ხაზი გაუსვა.

— რა არის ასეთი, რომ არ იზოვრება?

— ნუში გახლავთ, ბატონო!

— ნუში?

შუახნის ქალმა უმალ ტელეფონ-ავტომატს მიაშურა, მილი. მოიმარჯვა და ნომერი 9-96-58 აკრიფა:

— სააფთიაქო ცნობათა ბიურო?

— დიახ.

— რომელ აფთიაქშია ნუში?

— ვერსად იზოვრით, — იყო მოკლე პასუხი. ქალმა ტელეფონის მილი უხალისოდ ჩამოკიდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა გარეთ.

ნუში უძველესი და უძვირფასესი კულტურული მცენარეა. ჯერ ისევ სამი ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფინიკიელები, სხვა ხილთან ერთად, ვაჭრობდნენ ნუშითაც. ნუშის თავდაპირველი სამშობლო — სირია და ირანია. საბჭოთა კავშირში ეს მცენარე კარგად ხარობს შუა აზიაში, ყირიმსა და ამიერკავკასიაში.

საინტერესოა, რომ ნუშის ნაყოფი უფრო მდიდარია საკვები ნივთიერებებით, ვიდრე ნიგოზი და თხილი.

პერსპექტიული სამრეწველო ჯიშები უნდა უზასუხებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ნაჭუჭი თხელი, რბილი და ფხვიერი, გულის გამოსავალი — 40-70 პროცენტი, ზეთი—45-50 პროცენტი, რაც უფრო პატარა გული, მით მეტად ცხიმოვანი. გემოც კარგი და სასიამოვნო აქვს.

საქართველოს პერსპექტიული სამრეწველო ჯიშებია: საგურამოს № 135, თბილისის № 204, თბილისის გვიან მოყვავილე, სოღანლულის №172, მცხეთის № 80, მცხეთის № 207, საბურთალოს ნუში, კოდის № 144, ნიჩბისის № 87, ხირსის № 175, სოღანლულის № 209.

მეტად დიდია ნუშის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. საშაქარლო სამეურნეო ნუშის გულისაგან მზადდება ნაირ-ნაირი ნამცხვარი, მოხალული ნუშის შაქარლოა, კამფეტი და სხვ. საქართველოში ზოგან ნუშის გულს იყენებენ ჩურჩხლებისა და გოზინაყის დასამზადებლად, რომელიც ნიგვისაგან დამზადებულთან შედარებით, ბევრად გემრიელია. ანატოლიაში (თურქეთი) ნუშისაგან ამზადებენ სასმელს, რომელსაც იქ „ორშადს“ უწოდებენ. პარფიუმერიაში ნუშის გულისაგან ხდიან ზეთს, მისგან ამზადებენ კოსმეტიკურ საშუალებებს, საპონს და საპნის ფხვნილს. მედიცინაში გამოიყენება ნუშის ზეთი და დანაყილი ნუშის გული თირკმელების, ღვიძლის და კრუნჩხვების სამკურნალოდ, ხოლო ნაჭუჭისაგან მზადდება ხველების შემამკურნებელი სასმელი. ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი კომპონი იხმარება საქონლის საკვებად. საქონელი ხალისით ჭამს აგრეთვე ნუშის მწვანე ლენჯოს. მეღვინეობაში ნუშის ნაჭუჭისაგან მიიღება თეთრი ღვინოების შეფერვისათვის საჭირო ნივთიერება. მაღალხარისხოვანი გაზმშთანქავე ნახშირს — კარბონელას ღებულობენ ნაჭუჭის დაწვით. სამხატვრო ხელოვნებაში ნუშის ზეთისაგან ამზადებენ ძვირფას ფერად საღებავებს. ნუშის ხის მერქანი საუცხოო მასალას წარმოადგენს საღებავლო და სახარატო ნაკეთობათათვის. ფუტკრისთვის ნუში, როგორც ყველგან ადრე მოყვავილი, პირველ უღოფად ითვლება.

და აი, ამ მცენარის ასეთი სარგებლობის მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველოში

მას დღემდე არ აქვს მიღებული სამრეწველო ხასიათი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საქართველოში ნუში 49.125 ძირია; აქედან 47.333 ძირი აღმოსავლეთ საქართველოშია (ძირითადად, ხირსის საბჭოთა მეურნეობაში), ხოლო 1.792 ძირი — დასავლეთში. ჩვენი პარტია და მთავრობა გამუდმებით ზრუნავენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკურ და ხილულ კულტურათა მაღალხარისხოვან და უხვ მოსავლიანობას. საჭიროა, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ნუშის მოყვანა-გამრავლებას.

აღმოსავლეთი საქართველო (ძირითადად კახეთი) თავისი გეოგრაფიული კონტურით და ეკოლოგიით ნუშის კულტურისათვის სამრეწველოდ პერსპექტიულ მხარეს წარმოადგენს. ფართობები (ურწყავ-გვალიანი) ფერდობები და ველები, რკინიგზის და საავტომობილო გზების გასწვრივ, გამოუსადეგარი წამყვანი კულტურებისათვის, გამოყენებულ უნდა იქნეს ნუშის ნარგავებისათვის. მეტად პერსპექტიულია სამგორის ველი, სადაც უნდა გაშენდეს ნუშის ნარგავები რიგთაშორის ატმის ხეებით. ძალიან კარგ შედეგს მოგვცემს მთაწმინდის ფერდობებზე, კურდღლის ცოცხისა და თრიმლის ნაცვალად, გაშენება ნუშისა, რომელიც არა მარტო გამწვანებისათვის ხელსაყრელია და ეროზიის საწინააღმდეგოდ კარგი საშუალებაა, არამედ მას აქვს დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც. კარგი იქნება ნუშის

გაშენება საბურთალოზე, დიდის მასივში და კახეთის გზატკეცილის გასწვრივ.

ამგვარად, ნუშის, როგორც გვალვამტან, ფერდობებისადმი კარგად შემგულებელ, ნიადაგისადმი ნაკლებ მომთხოვან მცენარის გამრავლება ორგანო სარგებლობას მოუტანს საქართველოს მშრომელებს: ის გაამწვანებს ხრიოკ, მშრალ ადგილებს და ამის პარალელურად მოგვცემს უძვირფასეს, მაღალხარისხოვან ზეთოვან პროდუქციას.

მეფე-პოეტმა თეიმურაზ მეორემ ოდესღაც თავის „ხილთა ქებაში“ ნუშს ათქმევინა:

ნუშმა სთქვა: მე არ მახსენებ, თქვენ ხართ თავთა მქებელი, სანატრელი ვარ ყველასთვის. საკმლისა შემამკობელი, უტურფესი ვარ ყოველთა. აქიმთა სახმარებელი, მკურნალი ყოვლის სენისა, ღვიძლისა მაგრილებელი.

აი ასეთი უძვირფასესი რამ არის ნუში. ის არა მარტო მშვენიერაა საქართველოს ტურფა გაზაფხულისა, არამედ წამალიც არის, მაღამოა, სიმდიდრეა ქვეყნისა.

ამ ძვირფას კულტურას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველამ და პირველ რიგში იმათ, ვისაც ეს ევალება — გამწვანების ტრესტისა და საწარმოების მუშაკებს, კოლმეურნეობების გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, ჩვენს შრომისმოყვარე ახალგაზრდობას.

ეს საშვილიშვილო საქმეა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მკითხველები ამ საკითხზე თავის სიტყვას იტყვიან.

აგრონომი ზ. კვანილაძე.

ქუჩაზე კაცის ქაჭანება არ იყო. ეძინა მთელ ქალაქს. ამიტომ თუ იყო, ერთადერთ განათებულ ფანჯარაში შუქი უჩვეულოდ რომ კაშკაშებდა.

...საწერ მაგიდასთან მჭდომი კაცი სავარძლის ზურგზე გადაწვა და ქალაქ-დების გროვა ხელით განწე გასწია. მოშავალი წერილის სათაური: „რაბლო-პისიტის პლასტიკური თვისებები“ წითელი ფანქრით იყო ხაზგასმული. თვალი ერთი წუთით სიმუხვმდგარი აპარატის შავად მზინავ სახელურზე შეჩერდა, იქვე გვერდით რომ იყო. სახელური სახელურს გავდა. „რა არის აქ არაჩვეულებრივი“, — იფიქრებდა საქმეში ჩაუხედავი კაცი. მაგრამ ტექნიკურ მიც-ნიერებათა კანდიდატის პეტრე ცისკარიშვილისათვის ეს „ჩვეულებრივი სახელ-ლური“ განხორციელებული ოცნება, ხანგრძლივი და გულმოდგინე ძიების, მწარე იმედგაწიბობისა და ნათელი იმედების, მრავალი და მრავალი წლის შრომის შედეგი გახლდათ.

პეტრემ თვალზე ხელი აიფარა და იმავ წუთს გონებაში კინოკადრებივით გაიფიქრა წარსულისა და აწმყოს სურათებმა.

...ეს ოცდაათი წლის წინათ იყო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტი-ტუტის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო პეტრე მედიკი-შვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში. ქიმიკოსიცა და ინსტიტუტაც პირ-ველ დამოუკიდებელ ნახიჯებს დგამდნენ. მერე, თანდათან ორივენი მომაგრდ-ნენ ფეხზე, ძალი და ღონე შეემატათ. ორი წლის შემდეგ პეტრეს უკვე ნახ-შირის ქიმიის ლაბორატორია ანდეს. მის წინაშე კიდევ უფრო ფართო და საინტერესო, თუმცა უფრო ძნელი და პასუხსაგებო მუშაობის პერსპექტივები დაისახა.

ჭერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო მუშაობა ცისკარიშვილმა უნივერსი-ტეტში აკადემიკოს ა. თვალტრეიძისთან, მინერალოგიის კათედრაზე, პრეპა-რატორად. იმავედროს დაინტერესდა ორი ნივთიერებით — მანგანუმითა და ნახშირით. პირველს ათიოდე წლის დაუღალავი შრომა და დისერტაცია მიუძ-ღვნა, მეორეს კი მთელი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება.

...პეტრე ცისკარიშვილის დისერტაციის ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა; დისერ-ტანტს თავი მშვიდად და უბრალოდ ეტყობა; მეგობრებმა და თანამოსამქმეებმა ყურადღება მიამჯობინეს, რომ პეტრეს სამხედრო ფორმა ეცვა. ცხრასორმოცდა-ერთი წელი იყო. დისერტაციის დაცვის შემდეგ მანგანუმზე გაემგზავრა დანიშ-ნულების ადგილზე, ახლა მას ფრთხილ მნიშვნელოვანი ლაბორატორია ებარა:— კამიტან ცისკარიშვილის საწესდის გარეშე თვითმფრინავსა და ტანკში ჩასახს-მელი არც ერთი ლიტრი ბენზინი არ იგზავნებოდა.

...მიწედა ომის ქუხილი. სამხედრო ფორმა ისევ სამოქალაქო ტანსაცმელში შეცვალა. კვლავ ინსტიტუტში, პრაქტიკებში, რომელთა გადაწყვეტაც დროებით გადაიდო, მაგრამ რომელიმე მულად ცოცხლობდნენ მის მოსუვენარ ფიქრებში; ამჯერად ამ მულდმივი ფიქრის საგანი ნახშირი იყო.

ჭერ კიდევ ომამდე დაიწყო პეტრემ მუშაობა მისი ქიმიური ბუნების ყო-ველმხრივ შესასწავლად. მაშინ აეკვიტა ერთი შეხედვით თითქმის სრულიად უცნაური პარალელი: ნახშირიც მაღალმოლეკულური შენაერთია და პლასტ-მასაც. პარალელი რაღაც დაუჭერებელ აზრებს კარნახობდა. და მაინც... მაინც, რომ დავუშვათ პირველისგან მეორის მიღება? ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა. დაიწყო ძიება. ბევრჭერ ეწვია საქართველოს ნახშირის სხვადა-სხვა სახადოს. უფრო ხშირად ტყეებში დადიოდა. ტყეების ნახშირი უფ-რო მდიდარი იყო ფასოვანი ნივთიერებით.

1950 წელს ცდებს შეედგნენ. საქმიანობა პატარა ლაბორატორიულ დანად-გარზე დაიწყო. პირველ რიგში საჭირო იყო საცდელი მასის მინარევებისაგან გათავისუფლება, ე. ი. ნახშირის გამდიდრება. ლაბორატორიის თანამშრომლებმა გაიხსენეს ნახშირის გამდიდრების ერთი მივიწყებული მეთოდი, რომელსაც მანამდე წმინდა თეორიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ: ნახშირის სხვადასხვა კომპონენტის გაყოფა მათი სიმაგრის მიხედვით. ხერხი სუფთა მექანიკური და ამასთან სხვებზე მარტივი იყო. ნახშირი ინაყებოდა და იცრებოდა. პირველად ნახშირის მინარევი გადიოდა სპიტირში, რადგან იგი უფრო მყიფე იყო და ადვილად იფხვენებოდა. ამგვარად, ლაბორატორიაში, რომელიც იმავე წელს მაღალმოლეკულური შენაერთების ლაბორატორიად გადაკეთდა, დაიწყო სწო-რედ ნახშირის დაქუცმაცება და მისი გამდიდრება ფისოვანი ნივთიერებით. ცდის პროცესში ყურადღება მიამჯობინეს იმას, რომ რაც უფრო წვრილად იფ-ხვენებოდა ნახშირი, მით უფრო ღია ფერს იღებდა ფხვნილი. ნახშირის ყველა შემადგენელი ნაწილი შავია. რა იწვევდა ფხვნილის სიყვითლეს? მარტო ეს გარემოებაც კი საკვირველი და უჩვეულო იყო. დაიწყეს მიღებული ფხვნი-ლის გულდასმით გამოკვლევა. ამას მოჰყვა ფხვნილის პლასტიკურ მდგომა-რებაში გადაყვანის ტემპერატურის ძიება.

ათობით, ასობით ცდის შემდეგ, თვეობით დაუღალავი მუშაობის შედე-გად მიაგნეს ამ კრიტიკულ ტემპერატურას — 370 გრადუსი ცელსიუსით მარტო ამ ტემპერატურაზე იღებდა ფხვნილი პლასტიკურ თვისებებს.

ძნელი გადმოსაცემია, რა ხდებოდა მაშინ პეტრე ცისკარიშვილის გულში, როცა მის ხელისგულზე ჭერ კიდევ თბილ-თბილი, მოშავო ფორებიანი ბურ-თული აეღვარდა. ნახშირისაგან პლასტიკური მასა მიიღეს! საქმის ერთი ნა-წილი დამთავრდა. საჭირო იყო გულდასმით, ყოველმხრივ შეესწავლათ მი-ღებული ახალი ნივთიერების მარცხენებლები და ხარისხი. მხოლოდ ამის შემ-დეგ შეიძლებოდა თქმა: ამაო იყო თუ არა. ამდენი წლის ცდა, ძალისა და ენერჯის დახარჯვა.

ღონარა  
კანდელაქი



ამ ნივთიერების (მას რაბლოპისიტი უწოდეს) ქიმიური და მიკროსკოპული შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ იგი ბევრ რამეში ჰგავს მცენარეული წარმოშობის ფისებს. მას აღმოაჩნდა ძალზე მაღალი დიელექტრული მაჩვენებლები, მდგრადობა მუხვებისა და ობისადმი. რაბლოპისიტისაგან დაწვნილი ფირფიტები სიმსუბუქით, ლამაზი შავი ფერით გამოირჩეოდა, სასიამოვნოდ ბზინავდა. ყოველივე ეს რაბლოპისიტს დიდი ცხოვრების საგზურს აძლევდა, კარგ მომავალს უქადადა. უკვე შეიძლებოდა სამამულო წარმოების ახალი პლასტიკური მასის დაბადების წეიმი.

პეტრე ცისკარიშვილი ყოველთვის ხიამოვნებით ლაბორატორიის რაბლოპისი-ტზე — ლაბორატორიის პირმშოზე, ლაბორატორის გატაცებით, სიყვარულით.

რაბლოპისიტს დიდი და საინტერესო მომავალი აქვს. უკვე მისმა პირველმა გამოჩენამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამას მოწმობს მრავალიცხოვანი წერილები და შეკითხვები, რომლებიც ინსტიტუტის სახელზე მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სახალ-ხო მეურნეობის საბჭოები, სამმართველოები თხოულობენ მონაცემებს ახალ თბილისურ პლასტიკურ მასაზე, თხოულობენ სინჯებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მისი გამოყენებისათვის ცდების საწარმოებლად.

ქუთაისში დაიწყეს საცდელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც წელიწადში ათასობით ტონა ახალი პლასტმასის დასაწნე ფხვნილს გამოუშვებს, ლილოში აგებენ ინსტიტუტის საცდელ-ექსპერიმენტულ ბაზას. იქ იწარმოებს საწარმოო ხახიათის ფართო მასშტაბის გამოცდა, შემოწმდება ქიმიის ინსტიტუტის ლა-ბორატორიულ სამუშაოთა შედეგები.


ეს ყოველივე ბევრად გააადვილებს და დააჩქარებს საჭირო მონაცემების შეგროვებას რაბლოპისიტისაგან დამზადებულ ნაკეთობათა შემდგომი გაუმჯო-ბებისა და სრულყოფისათვის.

მაღალმოლეკულური შენაერთთა ლაბორატორიის ეს წარმატებანი შემთხვე-ვითი არ არის. იგი პატარაა, მაგრამ მეგობრულად შერეული კოლექტივის დი-დი შემოქმედებითი შრომის შედეგია. ლაბორატორიის სამი თანამშრომელი— გივი პაპავა, ლევან ნადარეიშვილი და ნოდარ ცოხია ასპირანტები არიან. ლაბორატორია ფართო მეცნიერულ კვლევას ეწევა; მაგრამ მარტო ეს როდია მისი მოღვაწეობის სფერო.

ლაბორატორიის თანამშრომლები პეტრე ცისკარიშვილის ხელმძღვანელო-ბით სწავლობენ საქართველოს ყველა ნახშირის ბუნებას, ხარისხსა და მათი გამოყენების რაციონალურ ხერხებს. ეს მათ მისცეს ცხოვრების საგზური ახალციხის ნახშირის სახადოს, როგორც ენერგეტოკულ სათბობს. საკავშირო ცნობარის ყველა მონაცემი ახალციხის ნახშირზე ლაბორატორიის თანამშრომ-ლებმა შეიმუშავეს. ისინი არიან არბიტრები ნახშირის ხარისხზე, იკვლევენ და დასკვნას აძლევენ უამრავ გეოლოგიურ სინჯს. არ უნდა დავივიწყოთ მუშაო-ბის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორც არის კადრების მომზადება. ძნე-ლია მოინახოს ტყეების, ტყვარჩელისა და ახალციხის ნახშირის ტრესტებში ლაბორანტ-ქიმიკოსი, რომელიც პრაქტიკაზე ან მივლინებაში არ ყოფილიყო ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

...ცას ლაფარდისფერი შეეპარა. ვარსკვლავები ნელ-ნელა ქრებოდნენ. პეტ-რე ფიქრისაგან გამოერკვა. მუშაობაში შეუმჩნევლად გაპარულა ღამე. ახალი, შრომით აღსავსე დღე დგებოდა, ძიებითა და მიგნებით, ფიქრითა და სიხარუ-ლით აღსავსე დღე. და ნამდვილი შემოქმედებაც ხომ წარმოუდგენილია ამის გარეშე.





თხოვნილება. კერძოდ, ახალი საკვებით დაინტერესდნენ ინგლისელები, იტალიელები, ფრანგები, ბერძენები... ამერიკის შეერთებულ შტატებში ზღვის სავარცხელას სუკი მოეწონათ, იაპონიის ფირმებს ჩვენგან მიაქვთ კრევეტოკები, მზად არიან ტრეპანგების, რვაფეხებისა და ზღვის ზღარბების ხიზილალის შესაძენად.

შორეულ აღმოსავლეთში ყველაზე გავრცელებული წყალმცენარის — ზღვის კომბოსტოს შესწავლის დროს, ექიმებმა მასში მთელი აფთიაქი აღმოაჩინეს. ამ წყალმცენარის ნახარშის აბაზანები პირდაპირ მისწრება რევმატიზმებით დაავადებულებისათვის, მისი ფხვნილი კი ნერვების აშლილობის, კუჭის დაავადებისა და სისხლნაკლებობის სამკურნალოდ იხმარება. ბლაგოვენიჩისკის სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლებმა კარგი შედეგი მიიღეს ზღვის კომბოსტოს გამოყენებით ათეროსკლეროზისა და ზოგიერთი ქალური დაავადებების მკურნალობის დროს.

ცნობილია ზღვის საკვები მარაგის გამოყენების სხვა შესაძლებლობანიც. წყალმცენარეებისაგან შეიძლება მივიღოთ ისეთი ნივთიერება, რომელიც ქსოვილების მკაფიო და გაუზუნბედი ფერით შესაღებად იხმარება. როგორც ცდებმა ნათელყო, წყალქვეშა მცენარეების ზოგიერთი კომპლექტი სიმუჯიანობისა და მაღალი ტემპერატურის გამძლე ფოლადის წრთობისას, აგრეთვე, პლასტმასების სინთეზის დროს, შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

ათასი ჭურის მალთუსიანელები, რომლებიც ახალ მშენებელს ოცნებობენ, თავიანთ უსაფუძვლო „თეორიების“ გასამართლებლად იმას იმიზეზებენ, თითქოს კაცობრიობას საზრდო არ ეყოფა და ოში ამიტომ არის გარდუვალიო. მაგრამ სინამდვილე სრულიად სხვას ამბობს — დედამიწას დაუღუფელი რესურსები გააჩნია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ოკეანეებსა და ზღვებს შეუძლიათ არჩინონ და ასაზრდოონ მთელი კაცობრიობა.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ რაოდენობა საკვები პროდუქტებისა, რომელიც ყოველწლიურად შეიძლება მოგვცეს ზღვამ, შეადგენს 100 მილიარდ ტონას. ამ მარაგიდან ადამიანები მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად მხოლოდ 40 მილიონ ტონა საკვებს ხარჯავენ. კაცობრიობის საერთო რაციონში ზღვის პროდუქტები ერთ პროცენტსაც არ შეადგენს, მათ კი შეუძლიათ არსებითი როლი შეასრულონ ბევრი ქვეყნის სასურსათო პრობლემის გადაჭრაში.

ამ წყალქვეშა საკუჭნაოს უფრო ინტენსიური გამოყენების გზა, უპირველეს ყოვლისა, არის ახალი თევზაჭერი ადგილების ძიება და ექსპლოატაცია. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი ნაწილია. მეორე, დიდი ამოცანაა ზღვის ახალი, დღემდე უქმად მიტოვებული რესურსების გამოყენება.

თევზი მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი სიმდიდრეა ზღვებისა; თევზის გარდა, იქვე, დიდი რაოდენობით არის სხვა პროდუქტები, რომლებიც მრავალი ადამიანის გამოგონებას აკმაყოფილებს.

მაგალითად, საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთში მოლუსკების, კიბოსნაირთა და სხვადასხვა წყალმცენარეებისაგან მრავალ გამრიდელ კერძს, ნახევარფაბრიკატსა და კონსერვს ამზადებენ. ამ პროდუქტებზე საზღვარგარეთაც არის მო-

# კავშირებს ქსოვნილი საკვების საზღვრო საქმეში

საბჭოთა კავშირში თევზაჭერზე საკვების მარაგის დაზვერვასა და მოპოვებას ყოველწლიურად უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ვლადივოსტოკში შექმნილია ასეთი დანიშნულების სარეწი ფირმა, რომელსაც თავის განკარგულებაში ეყოლება სამეცნიერო ცენტრი და არსებულთან შედარებით ორჯერ უფრო გაზრდილი, სპეციალურად აღჭურვილი ფლოტი.

აღნიშნული ფირმა იზრუნებს ზღვის ბინადართა და მცენარეთა მოპოვების ერთიანი გონივრული გეგმის განხორციელებაზე. ჯერ ზღვის ერთ ნაწილს გაუწივენ ექსპლოატაციას, სხვა ნაწილები კი ამ დროს „დაისვენებენ“ და ადამიანების მიერ წადებულ მარაგს შეივსებენ. წყალქვეშა მარაგის მდგომარეობაზე მეცნიერებიც ზრუნავენ. ისინი საცდელ ნაკვეთზე — სახალინის ერთ-ერთი ყურის ფსკერზე, უკვე აშენებენ ზღვის კომბოსტოს პირველ ხელოვნურ პლანტაციას. რიგში დგას წყალქვეშა ბოსტნები (სადაც მოიყვანენ წყალმცენარე ანფელციას) და სავარცხელას სანაშენე, რომელიც ფსკერზე მცხოვრებ მოლუსკთა ოჯახიდან თითქმის ყველაზე ადვილად „მოსაშინაურებელია“.

საინჟინერო  
თეორია



## სიკვდილის მოლოდინში

ყველა ადამიანს ერთხელ მაინც გამოუცდია ის მძლავრი წმინდა ფიზიოლოგიური მოქმედება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მოსალოდნელი საფრთხის წინასწარმა შეცნობამ. ამ დროს სახე ფიქრდება, გული იწყებს ძალუშვად და უთანაბროდ ცემას, უზღუბე ოფლი ეონავს და ა. შ. ყველა ეს მოვლენა განეკუთვნება ე. წ. ვეგეტატიურ რეაქციას, რომელიც დგება არა რეალური ვალნიანების გამო, არამედ მისი წინასწარ განჭვრეტის შედეგად.

შეიძლება თუ არა, ასეთმა რეაქციამ, გამოწვეულმა მომავლის წინასწარ ამოცნობით, ისეთ ძალას მიაღწიოს, რომ იგი სიკვდილის მიზეზი გახდეს?

ლონდონის ცნობილმა ყურნალმა „ლანცეტმა“ გამოაქვეყნა თვითშთაგონებით სიკვდილის მსგავსი შემთხვევა. ახლგაზრდა ქალმა, რომელმაც სიკვდილი გადაწყვიტა, დიდი რაოდენობით მიიღო... მწერების საწინაღმდეგო ფხვნილი. იგი დეწვა სარეცელზე, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ მკვდარი იპოვეს. გვამის გაკვეთის დროს ნაპოვნი ფხვნილი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზმში შეწოვილი, ლაბორატორიაში წაიღეს ქიმიური ანალიზისათვის. მალე ნათელი გახდა, რომ ეს ფხვნილი სრულიად უვნებელი იყო ადამიანის ორგანიზმისათვის. ფიზიკურად ჯანმრთელი და მაგარი ფეხებების ახლგაზრდა ქალის სიკვდილი გამოწვეული იყო მხოლოდ იმით, რომ იგი დარწმუნებული იყო სასიკვდილო საწამლავი მივიღო.



## სინათლე ეპრპვის შესამს

რა დროით ხდება მედიკამენტები ჯანმრთელობისათვის საშიში? ფრანგ მეცნიერს დოქტორ შტერანს მიაჩნია, რომ ორგანიზმზე მედიკამენტების მოქმედება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული... წლის სხვადასხვა დროზე. მეცნიერი ამ დასკვნამდე 28 ათას თავგზე ჩატარებული ცდების შედეგად მივიდა.


შტერნი თავვეს აძლევდა შესამიანი პრეპარატის თითქმის სასიკვდილო დოზას, რომელიც შიდაქსოვილების ნივთიერებათა ცვლას არღვევდა. მეცნიერი სისტემატურად ინიშნავდა ბლოკნოტში თავგების იმ რაოდენობას, რომლებიც შესამის მიღების შემდეგ 24 საათის განმავლობაში იხოცებოდნენ.

ხანგრძლივი ცდებით დამტკიცდა, რომ ზამთრის თვეებში გაცილებით მეტი თავგები იხოცებოდნენ, ვიდრე ზაფხულობით. უნდა აღინიშნოს, რომ თავგების საცხოვრებელი პირობები, კვების რაციონი და სხვა, აბსოლუტურად ერთნაირი იყო მთელი წლის განმავლობაში. ერთადერთი, რაც ცდების ჩატარების პერიოდში იცვლებოდა, ეს იყო სინათლე, რომელიც ფანჯრიდან იჭრებოდა ლაბორატორიაში.

სამი წლის დაკვირვების შედეგები შტერანმა შემდგენარად ჩამოაყალიბა: ნათელი დღეების ხანგრძლივობის გაზრდა მნიშვნელოვნად ამაღლებს ცხოველთა ორგანიზმის წინააღმდეგობას მავნე ქიმიური ნივთიერებების მოქმედებაზე, და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სინათლე, ცხოველი მით უფრო ადვილად იცუდება შესამსაგან.







ულმობღმამ სიკვდილმა მოულოდნელად გამოგვტაცა გიორგი შატბერა-  
შვილი. ის ისეთი ჯან-ღონით სავსე, ისეთი მხნე იყო, აბა, რას ვიფიქრებდით  
რალაც რჩიოდე დღეში თუ გათავდებოდა. გათავდა და ჩვენს შორის აღარ  
არის შესანიშნავი ვაჟაკი, ვისი დანახვაც გვეამბოდა, ვისი მაღლიანი სიტყ-  
ვაც მუდამ გვათბობდა და გვახარებდა.

მართლაც რომ მაღლიანი სიტყვის თქმა იცოდა. ქართული სიტყვა ძლიერ  
უყვარდა. ამ მარგალიტებს ხალხში ჰქრფოდა და თავის პატარა სამქროში —  
საწერ მაგიდაზე მოთხრობებში, ლექსებსა და პიესებში აღუღებდა.

გიორგი შატბერაშვილი წერდა ლექსებს, პიესებს, მოთხრობებს... რომანიც  
სცადა და მისი დამთავრება კი არ დასცალდა. „აბოს“ გამოქვეყნებული თა-  
ველი კარგი რომანის ჭაშნიკია უთუოდ. სცენარზედაც უმუშავებდა და მისი დამ-  
თავრებაც ვეღარ მოუსწრია.

ის სიტყვისთვის დულდა. ერთ უანრში რომ ვერ ათავსებდა თავის მოწვდა-  
ვებულ გრძნობებს, რამდენსამე კალაპოტში უშვებდა. და განა ერთნაირად მა-  
ღალმხატვრული და თანაბრად მოსაწონი არ არის მისი ლექსი და მოთხრობა,  
პიესა თუ წერილი?

გიორგი შატბერაშვილი ერთ ხანს „დროშის“ რედაქციაში მუშაობდა, მწერ-  
ლის მძიმე ტვირთთან ერთად მას საზოგადოებრივი ტვირთიც აწვა. ორმაგი  
ჯაფა ადგა. მასთან მივდიოდით ჩვენ, მასზე უმცროსნი, მიდიოდნენ ჩვენზე  
პატარანიც. ის იქდა საწერ მაგიდასთან დინჯი და სახიამოვნო მოსაუბრე, გუ-  
ლისხმეირი დამრიგებელი, კარგის მრჩეველი.

გიორგი შატბერაშვილი ძალზე მგრძობიარე და კაცთმოყვარე ადამიანი  
იყო. სწორედ ეს ძვირფასი თვისება არის მთელი მისი შემოქმედების ქვა-  
...-ბილი

მას, გარდა მწერლობისა, ბევრი სხვა ადამიანური სიკეთეც ახარებდა და  
ასულდგმულბდა. უყვარდა მეგობრები, უყვარდა და პატივს სცემდა მათ შე-  
მოქმედებს.

უკანასკნელ წლებში იგი ჯერ „ციცკრის“ რედაქციაში მუშაობდა, მერე  
„მნათობში“ გადავიდა, მაგრამ „დროშას“ მაინც არ იფიქრებდა. ძალიან ხში-  
რად შემოვივლიდა ხოლმე. და ჩვენ მუდამ სიხარულით ვხვდებოდით მას.

ამ ცოტა ხნის წინ იყო: რუსთაველის პროსპექტზე ჩვეული სიდინჯით მო-  
დიოდა ახოვანი, ბლუჭაულფაშა და თვალნათელი. დამინახა და თვლებში უფ-  
რო მტეი სიხარულის სხივი აენთო. შევაცყე, რომ რალაც ახარებდა. ხელი ჩა-  
მომართვა თუ არა, არ ვიცი რატომ, ჩურჩულით მითხრა:

— მომილოცე, პაპა გავხდი.

პაპაო?! პაპის ვიტყვით და ხანდაზმული კაცი დაგვიდგება თვალწინ. გიო-  
რგის წლოვანება რომ არ გაგვგოთ, ვერც მიხვდებოდით, რომ მან პაპობის ასაკს  
უკვე მიაღწია.

შატბერაანთ ოჯახს ტყუბი შეეძინა: ამას გაეხარებინა გიორგი, მაგრამ რა  
ვიცოდით, რომ განგება, სამაგიეროდ, ცოტა ხნის შემდეგ, ამ ოჯახს დედაბოძს  
წაუქცევდა!

მისი უკანასკნელი დიდი მოთხრობა „შკვდრის მზე“ იყო. სიკვდილ-სიცოც-  
ხლის ჭიდილის საგალობელი ძლიერ აწუხებდა, ხანმოკლე სიცოცხლის მან-  
ძილზე საჩილდაო ქვას ეჭიდებოდა. მან მამაცურად მაღლა ასწია ეს ქვა და ქვე-  
ყანას თავისი მაღლიანი კალმით ნამოღვაწარი დაუტოვა. საჩილდაო ქვა მაღ-  
ლა ასწია და ვაჟაკურადაც დაეცა.

ჩვენ დაგვჩა მისი შესანიშნავი წიგნები, მისი ქმნილებანი, რომლებსაც  
სიკვდილი ვერ მოერევა.

თინათინ ჯოგოლაძე.

სოფიო ამირაჯიბი, დედა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის,  
პროფესორ კონსტანტინე ამირაჯიბისა — ცნობილი საზოგადო მოღ-  
ვაწე იყო; ქართულ კულტურას მან დიდი ამაგი დასდო იმით, რომ  
ერთ-ერთმა პირველთაგანმა გააცნო რუს მკითხველს ჩვენი ლიტე-  
რატურის შედეგები და მთარგმნელობით კულტურას ჩვენს ქვეყ-  
ანაში ასპარეზი დიდად გაუფართოვა. აკაკიმ სოფიო ამირაჯიბს ლექ-  
სიც უძღვნა.

უფრო დაწვრილებითი ცნობები ს. ამირაჯიბზე მოყვანილია ნინო  
ჩიხლაძის წერილში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „დროშაში“  
(1984 წ. № 10).

ქვემოთ მომყავს დედაჩემის — ანასტასია მაჩაბლის წერილი აკა-  
კისადმი, რომელიც შეიცავს მთარგმნელი ქალის პიროვნულ დახასი-  
ათებას. დედაჩემმა კარგად იცოდა, რომ აკაკი წერეთელი დიდად  
დაინტერესებული იყო ს. ამირაჯიბის ლიტერატურული მემკვიდრე-  
ობით; ამიტომ სთხოვს აკაკის დაწეროს ლექსი მისი ხსოვნის უკვ-  
დავსაყოფად.

ელენე მაჩაბელი-ჩარაქვიშვილი

17 მაისი, 1907 წ.

ძვირფასო ბატონო აკაკი! გადავიკითხე დიდი სია-  
მოგნებით თქვენი წერილი. დიდად მოხარული ვარ,  
კარგად ბრძანდებით და საქმეებსაც აწყობთ თქვე-  
ნი სურვილისამებრ. აქაური ამბები რა მოგწეროთ,  
მართლა რომ გახურობული საქმეებია, როგორც  
კერძო, ისე საზოგადო. დღეს იწყება კრება, მერე  
სათავადაზნაურო და დიდი აღლვება და მოძრაობა  
არის. ჩემი შვილები ეგზამენებს უნდებიან. ელამ  
კი გაათავა და მეხუთეში გადავიდა. ახლა ნუ ეხუმ-  
რებით—დიდი ქალია. ნიკოც ისე ჩინებულად იჭერს  
ეგზამენებს, რომ გასაკვირალს არიან მასწავლებლე-  
ბი და სიამოვნებით უგდებენ ყურს. მართლაც, რომ  
დიდი ჯაფა მიიღო ნიკომ და ის მიკვირს, რომა ხა-  
სიათიც გამოიჩინა, არაფერი არ იტაცებდა იმას,

არც რამე გასართობი, არც თეატრი; ეგ კარგია და  
ცოტა დამამზვიდა, რომ გაჭირვებაში შეუძლიან  
თავის დაქვრა და საქმეს სერიოზულად უყურებს.  
აბა რამდენი ვეცადე, ბევრი უსიამოვნო დრო გა-  
მოვიარე და მაინც იმისთანა გამოვიყვანე ჩემი შვი-  
ლი, რომ მართლა სამშობლოსათვის მუშა კაცი, ბე-  
ჯითი და სინდისიანი მამულიშვილი. თქვენ კი სულ  
იმას მიკვირებდით, რომ ვანებივრებ და ვაფუქებ  
ჩემს შვილს. ახლა არ გაიცინოთ ჩემზე, თავი რომ  
მომაქვს; თითქმის ჩემი თავი გრაქების დედას შე-  
ვადარე. არა, ჩემო აკაკი! დღეს ნიკოს კიდე ორი  
გამოცდა აქვს და ხვალ ათავებს, მერე მასწავლებ-  
ლებს კრება ექნებათ დაიჭიროს გამოცდები მეშ-  
ვიდეში თუ არა, ამბობენ, ხნით პატარაა.

გუშინ საცოდავი სოფიო ამირაჯიბის საფლავი

ფუნქციონირებს

აკურთხეს, მოსკოვიდან მოასვენეს, მშვენიერი ძეგ-  
ლი აუგეს. ბევრი ხალხი დაესწრო. ყმაწვილმა სუნ-  
დლუკანცმა სიტყვა სთქვა მეტად გრძნობიერი და  
დაასურათა მართლა, როგორიც იყო საცოდავი.  
ყველანი ვტიროდით: წარმოგვიდგა ყველას ის მარ-  
თლა კეთილი ადამიანი, ქვეიანი, ალერსიანი.

ჩემი იყო და ჩემათ ქველმოქმედებდა, არ უყ-  
ვარდა ყვირილი სხვებისათვის. მართლაც, რომ საღვ-  
თო მცნებას ასრულებდა... ყველას გულშემატკი-  
ვარი იყო...

არ შეგვძლოთ იმის საფლავზე თქვენებურა  
ტყბილი და გრძნობიერი სიტყვით აგებუდათ, ან  
რამე ლექსი დაგეწერათ? ეგ ხომ დიდი პატივის-  
ცემა იქნებოდა იმის შვილებისათვის, მეტადრე უმ-  
ცროსი ქალისათვის; ჩინებული ძეგლია, გამოხატუ-  
ლია პატარა მთა და ზედ ანგელოზია დახრილი  
ცოტათი და თითქოს ლოცულობს, სახე საშინლად  
მიავაეს ვარუშას და როცა ვუყურებდი ვარუშას,  
ისიც ცრემლიანი იდგა, წარმოიდგინეთ სწორედ ისე  
იდგა, როგორც ის ანგელოზი იმის დედის საფლავ-  
ზე. კიდევ მინდოდა მაგ საგანზე ბევრი რამ მომე-  
წერა, მაგრამ მეშინიან თავი არ მოგაბუზროთ და  
კიდევ სასაცილოდ არ ამიგლოთ.

მოგიკითხავთ ყველანი სიხარულით.

ბასო მაჩაბელი

# მუსონი ქარი სქენა



ბათუ კრავიშვილი —  
კიაზო („დაისი“)



ბათუ კრავიშვილი —  
ტორეადორი („კარმენი“)



როდესაც ფურცლავ უკვე სახელმოხვეტილი მომღერლის არ-  
ქივს, ყოველთვის გაინტერესებს — როგორ იყო შეფასება, რო-  
მელიც მან სცენური ნათლობის დროს მიიღო. აი ისიც... 1984  
წელი... მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, სცენაზეა მოხდენილი  
გარეგნობის ფიგარო, ძლიერი და სახიამოვნო ტემპრის ხმით. ფი-  
გარო — მოქნილი, გამჭრიახი, გაბედული და ყოვლისშემძლე. მის  
გამოჩენას სცენაზე სიცოცხლე შემოაქვს. პრესაშიც ჩნდება პირ-  
ველი საქებათა ეპითეტები: „ბრწყინვალე არტისტიკული მონაცემე-  
ბი“, „სცენური სახის გააზრების იშვიათი უნარი“, „მომხიბვლე-  
ლი გარეგნობა“, „მკაფიო დიქცია, რაც ხელს უწყობს ახალგაზრ-  
და მომღერლის მსმენელთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას...“  
და ა. შ.

ყოველივე ეს ეხებოდა ბათუ კრავიშვილს, რომელიც ის-ის  
იყო იწყებდა თავის შემოქმედებით ბიოგრაფიას. მას შემდეგ ოცდაათმა წელ-  
მა განვლო.

ბათუ კრავიშვილმა მოღვაწეობა დაიწყო ქართული ვოკალურ-საშემსრუ-  
ლებლო ხელოვნების აღორძინების პერიოდში. მაშინ ჩვენს სცენაზე მჭუხდა  
სანდრო ინაშვილის, ვალერიან ქაშაყაშვილის, ნიკო ქუმისიაშვილის და დავით  
ანდლუაძის სახელები. ბათუსთან ერთად ქართული ოპერის სცენაზე მოვიდა  
მთელი თაობა — დავით გამრეკელი, ნადეჟდა ცომაია, პეტრე ამირანაშვილი,  
ნადეჟდა ხარაძე, ეკატერინე სოსხიძე, მერა ნაკაშიძე და სხვანი.

ბათუ კრავიშვილს თავიდანვე ახასიათებდა უაღრესად დასაფასებელი თვი-  
სება — ცოდნის შეძენის, ახლის შემოქმედებითი თავისების ძლიერი სურ-  
ვილი; იგი უკვირდებოდა ყველას და ყოველივეს, არა მარტო ქართველი ვო-  
კალისტების მიღწევებს, არამედ, დიდ თეატრში ყოფნის პერიოდში — რუ-  
სული ვოკალური სკოლის ტრადიციებს, საზღვარგარეთ, ჩეხოსლოვაკიაში,  
რუმინეთში, პოლონეთსა და ავსტრიაში საგასტრაოლო მოგზაურობისას — ამ  
ქვეყნების საშემსრულებლო ძალების თავისებურებებს.

დაკვირვებამ, დაუდლაგმა შრომამ და უკეთესობისაკენ სწრაფვამ მას ბევ-  
რი წარმატება მოუტანა. ამაზე მეტყველებენ უამრავი რეცენზიები არა მარ-  
ტო ქართულ პრესაში, არამედ რუსეთისა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გა-  
ზეთებში.

ბათუ კრავიშვილს მრავალი საოპერო პარტია შეუსრულებია. რიცხვი  
ოპერებისა, რომლებშიც ის გამოსულა, ორმოცამდე აღწევს: „ფიგაროს ქორ-  
წინება“, „კარმენი“, „ტრავიატა“, „თავადი იგორი“, „ევგენი ონეგინი“, „პი-  
კის ქალი“, „ალეკო“, „ახესლომი“, „დაისი“, „ლატავრა“ და ა. შ.  
ბათუ გვევლინება მრავალი ქართული ოპერის წამყვანი პარტიების პირველ  
შემსრულებლად. საკმარისია გავიხსენოთ ალ. ბუციას „დაუპატიებელი სტუმ-  
რები“ და „არსენა“, შალვა მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ და „დიდოსტა-  
ტის მარჯვენა“, ყოველ მათგანში ბათუ კრავიშვილმა თავისი შემოქმედე-  
ბითი ბუნების დამახასიათებელი ნიშნები ჩააქსოვა და შექმნა მუსიკალურ-  
სცენურად დამაჯერებელი მხატვრული სახეები.

ბათუ კრავიშვილი ქართული საესტრადო სიმღერების უაღრესად პოპუ-  
ლარული შემსრულებელია და აღბათ, ყველას ახსოვს მისი „მომე ხელი“.  
მან დაუვიწარი სახე შექმნა ოპერება „ბოშათა ბარონში“, და უთუოდ, კი-  
დედვ ბევრს გააკეთებდა, ამ უნარში მუშაობა რომ არ შეიწყვიტა. დიდი პო-  
პულარობა მოუპოვა ბათუ კრავიშვილს კინოფილმ „ქეთო და კოტეში“ მო-  
წაწილობამ.

გავიდა ოცდაათი წელი და ბათუ კრავიშვილის ნიჭმა ახალი ძალით იჩი-  
ნა თავი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრის ბოლოდროინ-  
დელ დადგმაში (პუჩინის ოპერა „ჩანი სკიკი“). თითქოს წლების მანძილზე  
დაგროვდებოდა აქტიორულმა გამოცდილებამ ერთხაზად იფეთქაო. უყურებ მის  
ჯანი სკიკის და ნათლად ხედავ როგორ გამდიდრებული მსახიობის შინაგანი  
სამყარო, მისი ოსტატობა.

ნანა ძაბთარაძე

# კრავიშვილი უთხაჯიან



იმ დღეგაციაში, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის ესტ-  
უმრა, სამი კაცი ვიყავით — ცნობილი საბჭოთა მწერალი ბორის პოლევოი,  
სსრკ მწერალთა კავშირის საგარეო კომისიის კონსულტანტი მარიან ტვა-  
ჩოვი და ამ სტრიქონების ავტორი.

ვიეტნამის ხალხი ახლა მარტოდუნ ერთ ფიქრს, ერთ მისწრაფებას მოუ-  
ცავს — გზა გადაუღობოს ამერიკელ თავდამსხმელებს და გააძევოს ისინი  
თავისი მიწაყლიდან. მთელი ხალხი, დიდი და პატარა სამშობლოს დაცვის  
წმინდა გრძნობით გამსჭვალული, წარბმუხრებლად ებრძვის ოკეანისგამღელ  
ბარბაროსებს.

ბრძოლის მოწინავე პოზიციაზე არიან გამოსული მწერლებიც და ხელო-  
ვნების ოსტატებიც. ამას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავდით.

ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლაში თავის სულიერ იარაღთა შორის, ხალხმა  
მიმართა თავისი წარსულის დიდ ოსტატებს, კვლავ გაიხსენა მათი სახელები  
და დროშასავით გამოიტანა ბრძოლის ველზე.

ყოველ ერს ჰყავს თავისი ყველაზე უფრო საამაყო მწერალი, თავისი შექს-  
პირი და რუსთაველი, რომელსაც გზა უჩვენებია მთელი მომდევნო თაობე-  
ბისათვის. ასეთია ვიეტნამელებისთვის ნგუენ ჩაი, მეთოთხმეტე საუკუნის  
ბრძაძე პოეტი, მოაზროვნე, სახელმწიფო მოღვაწე, უცხოელ დამპყრობთა  
წინააღმდეგ ბრძოლების სულიწამდგმელი და მეთაური.

ჩვენ ვნახეთ ნგუენ ჩაის მშობლიური ადგილები. სოფელში, სადაც ის  
ცხოვრობდა, აგებულია დიდი პავილი; ამ პავილიში მრავალი. ქანდაკება,  
რომლებიც წარმოგვისახავენ ნგუენ ჩაის წინაპრებსა და შთამომავლებს.

თანამედროვე ვიეტნამურ ლიტერატურაში ცოცხლობს ნგუენ ჩაის ტრა-  
დიცია. ეს ლიტერატურა სულდგმულობს პატრიოტული მოტივებით.

ვიეტნამში კარგად იცნობენ რუსულ ლიტერატურას; იქ კითხულობენ არა  
მარტო პუშკინს, ლერმონტოვს, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩეხოვს, თუ გორ-  
კის ქმნილებებს; დღევანდელ ვიეტნამში დიდი პოპულარობით სატყებლობენ  
მ. შოლოხოვი, ა. სერგეიშვილი, ნ. ოსტროვსკი, ა. ტოლსტოი, ბ. პოლევოი,  
კ. სიმონოვი. მაგრამ ვიეტნამელები ნაკლებად იცნობდნენ საბჭოთა მწერლობის  
ორმოცდაათიანი თუ სამოციანი წლების ლიტერატურას, კერძოდ ახალგაზრდა  
საბჭოთა მწერლებს.

ჩვენ ოთხი საათის განმავლობაში ვესაუბრეთ ვიეტნამელ მწერალთა დიდ  
ჯგუფს (იქ დახლოებით ორმოცდაათი კაცი იყო) თანამედროვე საბჭოთა ლი-  
ტერატურაზე, კერძოდ ქართულ ლიტერატურაზე, თანამედროვე მატერია-  
ლისტურ ესთეტიკურ შეხედულებებზე, ტრადიციისა და ნოვატორობის სა-  
კითხზე, ეროვნული კულტურის განვითარების თანამედროვე საკითხებზე, მის  
უახლოეს და შორეულ პერსპექტივებზე და სხვა პრობლემებზე, რომელნიც  
მეტად აინტერესებთ ვიეტნამელ მეგობრებს.

სხვათაშორის, ამ შეხვედრაზე ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლულმა  
მდივანმა პო თონ ჩინმა მოხოვა მოკითხვა მოკლემეცა გიორგი ლეონიძისთვის,  
რომელსაც ის აქ, საქართველოში ყოფნისას გაცნობია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ ლიტერატურას ვიეტნამში ნაკლებად,  
ან სულ არ იცნობენ.

ჩვენ თვითონ რომ მეტ ინტერესს ვიჩენდეთ საკუთარი კულტურისა და  
ლიტერატურის ფართო პროპაგანდისათვის, ვიეტნამელებიც გაცნობოდნენ  
ქართველთა სულიერ ცხოვრებას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას,  
კინოხელოვნებას. ახლა კი ამ მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეო-  
ბაა. ქართველ მწერალთაგან ვიეტნამში იცნობენ მხოლოდ გ. ლეონიძეს,  
ი. ნონევილსა და ფ. ხალვაშს; ი. ნონევილი და ფ. ხალვაში ვიეტნამში ყო-  
ფილან, ფ. ხალვაშის ერთი ლექსი დაუბეჭდავთ ჟურნალ „ვან ნგეში“ („ლი-  
ტერატურა და ხელოვნება“).

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა მწერალთა კავშირისა, ლიტერატურის და  
ხელოვნების მუშაეთა ასოციაციის ორგანოში „ვან ნგეში“ დაგვებეჭდა წერი-  
ლი თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე, ვისაუბრეთ რადიოთი ერო-  
ვნულ კულტურის განვითარების საკითხებზე.

საინტერესო და შინაარსიანი საშაათიანი საუბარი გაიმართა ლიტერატუ-  
რის შემსწავლელ ინსტიტუტში, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მეც-  
ნიერი, პროფესორი დანგ თხაი მი, რომელიც საქართველოშიც ყოფილი და  
გაცნობია ჩვენს დედაქალაქს. ამ საუბარს ესწრებოდნენ ცნობილი ვიეტნამელი  
მწერლები და კრიტიკოსები.

პანოიში, ხელოვნების და ლიტერატურის ტაძარში ვიეტნამის ხელოვნების  
მუშაებმა საბჭოთა კავშირის მწერალთა დღეგაციის პატივსაცემად დიდი კო-  
ნცერტი გამართეს. მთელი საღამო ისმოდა ხალხური, ღრმად მელოდიური,  
თავისებური, რიტმული მდიდარი მუსიკა, სიმღერები, მელოდეკლამაცია.

ვიეტნამის ხელოვნება ათასწლეულებს ითვლის, მას ბრწყინვალე წარსული  
აქვს და არანაკლებ შთამბეჭდავი აწმყო.

3ლ. შავაპარიანი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# ვერწერის ვაკსტეია, მეიანიე ქარსა...

ფერწლის ამ ნიმუში ვაკუენები საქართველოს სახატკრო კადობის ფერწარის ფაულტეტის მე-1 კურსის სტუდენტო ცლასის ხელმძღვანელი ამ ქუთისულად, სედაგოკ ა მახარაძე ნამუშევრების ჩატრადუქციებს ეს სერაობი შესრულდებლია შარშან, სხავ. ხელო პრატიკის დროს.

ვ თორღლიანი აქ წარმოდგენილი ორი სერაოდან პირველი ვახატკან გიორგი სააკაის მშობლიური სოფლის მეიანის დილო. სერაობი კარგად არის გადმოცემული ქართლისათვის დამახასიათებელი კოლორტი. იმავე ავტორის სერაობი „თათისთი“ ნახევნებია შეადღის მზიი გაზრწინებული ქართული სოფელი.

მეორედგან სვანეთის მონუმენტრ კოშკებს, ავტორისათვის დამახასიათებელია სწრაფი ფერის ლაკონიფიკობი-საცენ.

გიორგი მაქაცარია ორი სერაობითაა წარმოდგენილი — პირველი „სალამო სვანეთში“ — საღამო ნისლეში ჩაწოდლი მთები უკან პლანზე, წინა პლანზე კი მთებზე ნისლი მონანს ხიდი, რომელზედაც ნახიის მიგრტევიან, მეორე ნამუშევრად კუბური ნატურორტი“ გასწავებულია დეკორატიულად, აქ დღი ფერადი ლეჭები გადმოცემულია კონტრასტი ლერწასა და ვიციელს შორის.

ახლავარდა მხატვრები მონაწილეობდნენ აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც მომდინარე წლის აპრილში მოეწყო საქართველოს მხატვართა კლუბში.

წელს ჩვენს ახლავარდა მხატვრებს ახალი გეგმები აქვთ დასახული — ისინი გადვიდნენ შემ კერსზე წელს მათი წ. „თავისუფლი პრატიკა“ ეწვე საო. ოთხენი მუშევრებისგან ჯერ ხეუსტრუქცი. შემდეგ — დანატკანში.

შემდეგ სვანეთში წელს ისინი უკვე ფაქობენ თავიანი მომავალ საღამოლოში ნაწარმებზე.



გეორგიანული  
ბიზნესი




ვახტანგ თორღლიანი — ნოსტეს სეიანეი.



ამირ კაკაბაძე — სოფ. წითელქაღვლის მიდამოები.



იური გეგეშვიძე — სვანეთის კოშკები.



გიორგი მაქაცარია — საღამო სვანეთში.



გიორგი მაქაცარია — ნატურორტი.

ვახტანგ თორღლიანი — თიანეთი.





საქართველო  
გზატრამიტები

# გადასახლება დასახლება სადასახლება

კონსერვირი  
კონსერვირი

## მწერლის გლოგოტიდან

არ მიყვარს მოულოდნელი სტუმრიანობა, რადგან სტუმრის მოსვლა ხშირად ვიშლის მარტოობასა და კვრეტაში. ყოველი ადამიანი ხომ ახალი სამყაროა. უამიდან უამზე მე ჩაკეტილი ვარ ჩემი სახეების გარკვეულ სამყაროში და როცა წუხილს განვიცდი შემოქმედებისმიერს, მეჩოთიერება ხასიათთა ახალი სხვაობის ნახვა.

ამიტომაც, როცა მოქალაქენი დღიური ჯაფი-სგან დასახვერებლად ტკბილად იძინებენ, მაშინ წამოვდგები და მივუჭადები ჩემს საწერ მაგიდას. ელექტრონის ვოლტაჟი ძლიერდება მაშინ ჩემს ბინაზე. წინასწარ ვაფრთხილებ შინაურებს: კარები მაგრად გადაკეტეთ-მეთქი.

მოხდა ისე, რომ დღა დარჩენილიყო წინაქარი... ტალანში გამოსულს ვიდაც სათვალისანი კაცი შემომხეჩრა. ისე მეგობრულად მომესალმა, ვინაობის კითხვაც ვეღარ შევკადრე, ჩემს სამუშაო ოთახში შემოვუშები და წინ დავისვი.

სტუმარი: „თქვენ გაგაოცებთ ალბათ ჩემი სტუმრობა. თქვენ, ჩვენი მწერლები თქვენი მუშაობის, ან თქვენი უახლოესი კოლექტივის მუშაობის გამო სწერთ და ენაშურობთ, მაგრამ იშვიათად მოგვისმენია თქვენგან აზრი მწერლობის იმ დარგის გამო, რომელსაც ზოგი მწერალთაგანი მწერლობად არა სთვლის, ზოგი მეცნიერთაგანი — არც მეცნიერებად, მხატვრები და არტისტები მუდამ ემიჯნებიან, ხოლო იგინი თავთ აგრე ამბობენ: ვერც მწერლობა, ვერც თეატრი და ვერც მხატვრობა ნაბიჯს ვერ წასდგამსო უჩვენოდ წინ.“

სტუმარი: „მაპატიეთ, მაგრამ კარგად ვერ მიგიხვდით, ჩემო კარგო!“

სტუმარი: „მე ვგულისხმობ კრიტიკოსებს, საერთოდ კრიტიკას.“

სტუმარი: „მაინც არ მესმის თქვენი ნაბრძანი კარგად.“

სტუმარი: „მოკლედ მოგახსენებთ: კრიტიკოსი ხელოვანია?“

სტუმარი: „გაანია, როგორი? დასავლეთ ევროპაში ყოველი მღებავი „მხატვარს“ უწოდებს თავს, ყოველი კაცი, რომელსაც რომელიმე უცხოური კოტეჯი აუშენებია — „არქიტექტორს“, ყოველი რეპორტორი — „ლიტერატორს“. ეს სენი ჩვენშიაოც მკვიდრდება ნელ-ნელა... მომრავლდა რიცხვი ადამიანებისა, რომელთაც თავთ შეიჩქვეს „პოეტი“, „რომანისტი“, „კრიტიკოსი“, „დრამატურგი“ და სხვა მისთანანი.

საშუალო საუკუნეებში აქიმი იყო კაცი თვის-ტომთა შორის თავის ხელოვნებით რჩეული, რომელსაც თავისი საქმის შედმიწვევით ცოდნით ისეთ განცვიფრებაში მოჰყავდა ხალხი, ზეცაცურ თვისებებს მიაწერდნენ მას თანადროული. თუნდაც ლეგენდარული ფაუსტი, ან ჩვენი მინდია რომ მოვიგონოთ. ამგვარადვე ანცვიფრებდა თავისი დიდი ვირტუოზობით პოეტკაცი თავის თვისტომთა.

ხომ ასე ახლოა ქართულ ეტიმოლოგიაში სიტყვა „ხელოვანი“ და „ხელოსანი“. არც ერთს, ჩემს ცნობიერებაში მყოფ ენაზე, „ხელთან“ არაა ხელოვანის საქმე დაკავშირებული. ძველი ბერძნები „ხელოვნების“ ცნებაში ათავსებდნენ არა მარტო ლექსს, დრამას და ტრაგედიას, თვით აქიმობას, ისტორიას და ფერწერას. ისინი „ტენენს“ უწოდებდნენ ხელოვნებას უპირატესად.“

სტუმარი: „მე მაინც უფრო კონკრეტული რამ მინდოდა მეკითხა თქვენთვის...“

სტუმარი: „მაინც რა?“

სტუმარი: „კრიტიკა ხელოვნება თუ არის და საერთოდ საჭიროა იგი თუ არა?“

სტუმარი: „შაბლონური გაგების კრიტიკა, რომელიც წარმოადგენს არარაის გამო დაწერილ არარას, ჩემის აზრით საჭირო არაა. არც უმნიშვნელოს გამო დიდი შთაბეჭდილებების დაფრქვევა მაინც და მაინც ფრიად საჭირო, თუ ზოგიერთ გაზეთებს ცალეირი სვეტების შევსება არ დასჭირდათ ნებისთ თუ უნებლიედ.“

სტუმარი: „როგორ, თქვენ აგრე არა ბრძანეთ, ხელოვნური ქმნილების გამო შთაბეჭდილების გამოთქმა არას რგებსო მას?“

სტუმარი: „ჯერ არსად, არც ერთ დროში არ მომხდარა, რომ რომელიმე დიდი მწერლის უიღუმალესი აზრი არ განეშეფრათ. ნამდვილი მწერლობა თავისი გამოთქმის საშუალებით ისე დემოკრატიულია, მას თარჯიმანი არასოდეს დასჭირებია. შთაბეჭდილების გამოთქმა არც ისე სააუგოა, მაგრამ ყოველთვის გაანია, ვინ გამოსთქვამს და როგორ.“

სტუმარი: „როგორ?“

სტუმარი: „დიას, როგორ? ეს როგორ არის მუდამ გადაწყვეტი ხელოვნებაში. დიდ მეცნიერს, უკეთუ იგი ახალ აზრს წარმოთქვამს, ყოველთვის შეუძლია იგი გამოსთქვას როგორმე, ხოლო დიდ მწერალს, უწინარეს ყოვლისა, ამას შეამჩნევენ: როგორ გამოსთქვამს იგი თავის გულის დუღილს. რაიცა შეეხება მწერლის, ხელოვნების მიერ შექმნილის გამო შთაბეჭდილების გამოთქმას, აქ უკვე მოცემული ან აღძრულ გრძნობათა ემოციების ადექვატური გადმოცემა სრულიადაც არაა საჭირო, მაშინ ჩვენ გვექნებოდა ქმნილებათა ცალეირი დუბლიკატები. ეიფელის კოშკის მნახველი ბაღდის პირველადი შთაბეჭდილება ეს იქნება, რომ იგი ფრიად მაღალია. პროფანი ავა ამავე კოშკზე, ყავას დაღვეს, ძირს ჩამოვა აქვინებული, იგიც აგრე იტყვის, რა მაღალი ყოფილაო. კარგი იწყინერი, როცა ამ კოშკზე ავა, იგი იგრძნობს, როგორი დი-

დი ტექნიკით შეუდლებია ეს უზარმაზარი მანკი რკინისა მის კონსტრუქტორს.“

სტუმარი: „მე მაინც პირველ თქმულთან ვარ. კრიტიკა ხელოვნება თუ ხელოვნების შედნადები?“

სტუმარი: „ჩემი აზრით, კრიტიკა ისეთივე ხელოვნება უნდა იყოს, როგორც რომანისტიკა, ლირიკა და დრამატურგია. კრიტიკა ეგ უნდა იყოს ახალი და სავსებით სუბიექტური საშუალებით გაშუქება პოეტის, მხატვრის, დრამატურგის მიერ არა სუბიექტური მეთოდით აღძრული ქმნილებისა. მე ვიტყვოდი, აქ კრიტიკოსს რეპროდუქციის შექმნა როდი ევალდება, არამედ უკვე შექმნილისათვის „წამატება“.

სტუმარი: „როგორ თუ წამატება?“

სტუმარი: „დაიას, წამატება, რამდენადაც არა მარტო კრიტიკაში, არამედ ლიტერატურის ყოველ დარგში პერმანენტულად ხდებოდა და ხდება ეს წამატება. უნდა მოგახსენოთ, არც ერთი დიდი ტემა, გილგამეშიდან დაწყებული მოაქვამამდე ერთი ერის, ან მისი რომელიმე პიროვნული გენის მიერ, საბოლოოდ არა ყოფილა მოთავსებული ერთ წიგნში. ბიბლიის, ესქილეს, ევრიბიდეს დიდ იდეებს თავის ტრაგედიებში „წაუმატა“ შექსპირმა, ხოლო შექსპირს მრავალგზის „წაუმატეს“ ბაირონმა, გოეტემ და შილერმა. შეუძლებელია რუსთაველს ჰომერის პოემები არა ჰქონდეს გადაკითხული, რადგან ფრიდონის, ავთანდილისა და ტარიელის ავანტიურულ ომებში აქილევის, ოდისევის და ჰექტორის ხმლების წკრიალი მოგვესმის.“

სტუმარი: „განა კრიტიკოსი ამავე გზით უმატებს პოეტის მიერ წარმოჩინებულს, როგორც მწერალი მწერლობას?“

სტუმარი: „რა თქმა უნდა, სულ სხვა გზითა და, რაც უმთავრესია, სულ სხვა გვარის საშუალებებით, რადგანაც კრიტიკოსის ჩვენების საშუალებანი უფრო განსაზღვრულია; ვიდრე პოეტკაცისა და დრამატურგისა, ვინა რომანისტიკოსა.

(დასასრული იქნება)



წვიმიანი დღე თბილისში. ფოტო თ. არჩვაძისა.

დასვენების წუთები  
მეგობრული შარკი თ. გოგოლაძისა



დებული და მისი მონა ვარ, მეტი არაფერი... ულო-  
ნოდ ჩამოვყევი. აღარ ვიცი, რა ვქნა. აქ დავრჩე  
და გათენებას დავუცადო, თუ გზა განვაგრძო?  
ერთი კი უეჭველია ჩემთვის, სულიერად თუ ლავე-  
ცი, დიდ საფრთხეში ჩავიგდებ თავს...

ფიქრში წასულმა, ანგარიშიმთქმელად ქვა ავი-  
ლე და ვისროლე. ვისროლე და უმაღლე იმ ამბავმა  
მიიქცია ჩემი ყურადღება, რომ მისი დავარდნის  
ხმა არ გამოვიგონია. ამის შემდეგ უფრო დიდი ქვა  
გადავისროლე, მაგრამ ახლაც არავითარი ჩქამი,  
თითქოს ყრუ სიცილიელმ ჩაყალბა... მივხვდი, უფ-  
სკრულის პირად ვაგრჩებულვარ, კიდევ რამდენიმე  
ნაბიჯი და...

...გახსენებაც აღარ მინდა, რა წვლებით ჩამოვ-  
ფოფხდი. ალბათ ისევ დიდხანს დავბორიალებდი  
ბნელ მორევში. მხოლოდ რაღაც საოცარი ჭიუტო-  
ბა მაძლევდა ძალას და უგზობობაში დამაყალიბებდა.  
ისევ დაუსრულებელი აღმართი და დაღმართი, ღე-  
ლეები, ხრამები. არ გამეგებოდა, საით მივდიოდი.  
გაორბულადაც ვგრძნობდი თავს. აბეზარი და უსი-  
ამო იყო ეს გრძნობა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ  
მოვიშორე. მეჩვენებოდა, რომ გვერდით მეორე „მე“  
მოწყვებოდა და თვითველ ჩემს ნაბიჯს თვალს ად-  
ვენებდა... გზის ძებნა ამო და უაზრო ცდა იქნებო-  
და. სავსებით მივინდებდეს და საღდაც მივდივარ,  
ოღონდ კი არ ვაგრჩებულვარ.

ის იყო რაღაც პატარა ფერდობი ჩავათავე, მულ-  
ხრას შორეული გუგუნე მომესმა. ხმა ისევ მრის-  
ხანე იყო, მაგრამ მაინც ბევრად დამშვიდებული  
და დაოკებული. თითქოს კეთილი ვიღაც თანამე-  
ზავრი გამჩენოდა, ისე შევიგრძნე მისი ხმაური.  
დავაპირე მდინარის ნაპირს გავყოლოდი, გაბედულ-  
ლად დავეშვი იმ მიმართულებით, მაგრამ იქ ჩასვ-  
ლა აღარ დამჭირებია. ჩემს მარცხნივ როგორღაც  
დამემ ფერი იცვალა, სინათლე შეეპარა, ჭერ გაურ-  
კვევლად, მაგრამ მაინც გამოჩნდა გარემო და რო-  
გორც კი ბორცვი გადავიარე, უეცრად გატყდა ბნე-  
ლი და ჩემს წინ ვრცელი პლატო გაიშალა.

...მიწაზე გაშობილი და მკლავებგაშლილი, მგონი  
დიდხანს შევეყურებდი ვარსკვლავიან ცას. მოდუნე-  
ბული, მოშვებული, არავითარ სისხარულს არ  
ვგრძნობდი. მინდოდა მხოლოდ კიდევ ვწოლილი-  
ყავ და ცისთვის მეშინია.

თითქოს უნდობლადაც წამოვდექი ბოლოს და  
უცბადვე ჩქარი ნაბიჯით გავწიე. ახლა პლატო  
გრძელი აღარ მეჩვენებოდა. ახირებულად გაზრდილ  
ხეს რომ გავციდი (მახსოვს, სალამი მივეცი, ხელი  
დავუქნიე!), შორს პორიზონტზე შუქს მოვკარი თვა-  
ლი. ეს მესტიის ელექტროლამპიონები ბეუტავდენ...

\* \* \*

ცისკარი მოახლოებული იყო, მესტიას რომ მი-  
ვალწიე.

ჩემი თანამგზავრები—გეოლოგი და ფოტოგრაფი  
დილას გამოჩნდნენ მოგვიანოდ.

ძალიან გაუკვირდათ, როცა დამინახეს:

— ჩვენ კი ვაპირებდით კაცები გავგეგზავნა შენს  
მოსაძებნად!

დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მიზეზით და-  
უგვიანდათ. მოსვლა... ალბათ ძალიან შემოფოთებუ-  
ლი იყვნენ, რომ უშბას ძირში აღარ დახვდნენ მათ...  
დამნაშავედ ვგრძნობდი თავს.

— შეძებდით? — დამორცხვებულად ვკითხე.

არა, თურმე ჩემი მიზეზით არ დაუგვიანიათ...  
გულახდითლად მითხრეს: მულხრას სათავემდე ვერ  
მივიდნენ და დაბრუნებისას გზა აერიათ. სიბნელე-  
ში კოცონი დაინახეს ერთ ადგილას, მას მიაშურეს  
და ღამე იქ გაათიეს მონადირეებთან.

### გემი აბვინანებს ნავსადგურთან გასვლას

სევასტოპოლის ნავსადგურში იმ დღეს უცნაური  
ამბავი მოხდა.

სამგზავრო გემი „ცისარტყელა“ ის-ის იყო პორ-  
ტიდან გავიდა, რომ მოულოდნელად შეანელა  
სვლა. რამდენიმე წუთის შემდეგ გემი, გაშლილ  
ზღვაში შესვლის ნაცვლად, ისევ ხმელეთისაკენ  
შემობრუნდა და გეზი ავანპორტისაკენ აიღო.

გემის კაპიტანი, მაღალ-მაღალი, ჭრილობებით  
სახედასერილი ფელიქს ეგოროვი საკომანდო ბო-  
გირზე იდგა. მეგრულად თანხმად ჩამოყიდებული  
დურბინი უძილობით ჩაწითლებულ თვალბინით  
მიეტანა და ყურადღებით ათვალიერებდა ნაპირს.

— მოაშაადეთ ქიმიხა და კიჩოს ბაგირები... ნე-  
ლი სვლა... საჭე მარჯვნივ... — დროდადრო ყრუ,  
ოღნდ დაძაბული ხმით იძლეოდა ბრძანებებს ეგო-  
როვი.

კაპიტანის უფროსი თანაშემწე კუშმა ივანციკი  
გაოცებული იყო. უკვე ხუთი წელი სრულდებოდა,  
რაც იგი ფელიქს ეგოროვთან ერთად დაცურავდა  
ზღვაზე. ამ ხნის მანძილზე მას ბევრჯერ ენახა ათას  
ჭირსა და განსაცდელში ჩაგარდნილი მეგობარი.  
სტიქიანთან ბრძოლის დროს, ეგოროვის ხშირად სი-  
კვდილისთვისაც ჩაუბნადვს თვალბინი, მაგრამ  
მხნეობა და ჩვეული სიღინჩე არასოდეს დაუკარ-  
გავს. ახლა კი რაღაც უცნაურად იქცეოდა კაპიტა-  
ნი მისი მოგრო. მზისაგან გარუჭული სახე და ხმა-  
ში შეპარული ბზარი ნათლად ამუღვენებდა, რომ  
იგი შემოფოთებული იყო.

„ცისარტყელა“ უკვე შედიოდა პორტში, როცა  
ერთდღე გემის მთავარი მქანაიკოსი არჩილ ლაფა-  
ური ამოვიდა და ხმელეთიდან ახლად მიღებული  
რადიოგრამა გაუწოდა კაპიტანს.

მოაჭირზე დახრილი ეგოროვი გასწორდა, ქა-  
ლდლზე ჩაწერილ რადიოგრამას სწრაფად გადააწ-  
ლო თვალი და უფროს თანაშემწისათვის არც კი  
შეუხებდავს, ისე გადაულაპარა ჩუმად ხმით:

— ნავსადგურიდან ახალი საიდუმლო დავალება  
მივიღეთ... ადმირალი გვიბრძანებს, რომ გემზე სა-  
განგებო მეთვალყურეობა დავაწესოთ!..

— ამხანაგო ივანციკი! — კაპიტანმა უფრო და-  
უწვია ხმას, — ვიდრე „ცისარტყელა“ ნავსადგურ-  
ში შევიდოდეს, მეზღვაურთა შემადგენლობიდან  
სასწრაფოდ შეარჩიეთ რამდენიმე კაცი და და-  
ვალეთ თვალყური ადევნოს მგზავრებს.

ეგოროვი შეჩერდა, ვახტანგ მდგომ ბოცმანს მე-  
გაფონით დღეის მოაზალება უბრძანა და ისევ თა-  
ვის უფროს თანაშემწეს მიუბრუნდა:

— დაუყვანებლივ შეუდექით ბრძანების შეს-  
რულებას! მხედველობაში იქონიეთ, რომ ნავსად-  
გურიდან ნებართვის გარეშე, ვერც ერთმა მგზავრ-  
მა და ეკიპაჟის წევრმა ვერ უნდა მოახერხოს ხმე-  
ლეთზე ჩასვლა!..

\* \* \*

თბომაგალმა „ცისარტყელამ“ ზღვაში ხმაურით  
ჩაუშვა ღუზა.

შემოდგომის ღრუბლიანი დილა იდგა. უინ-  
ფლავდა. ადრევედულ ზღვიდან დროდადრო სი-  
სინით უბერავდა ქარი და შრილით არწევდა სა-  
ნაპიროს გაყოლებით ჩაყრილ ნერგებს.

„ცისარტყელას“ გემბანზე შემოფოთებულ მგზავ-  
რებს მოეყარათ თავი. აჩოქილებული ხალხი  
ჭაფუჭაფუვად ეხვეოდა მეზღვაურებს და ათას-  
გვარი შეკითხვებით ახებრებდა თავს:

— რაშია საქმე, ამხანაგო ლოცმანო?!

— გვითხარით, რატომ დააბრუნეთ გემი ნავ-  
სადგურში?!

— ვინ მისცა უფლება, თქვენს კაპიტანს, რომ  
თავის ნებაზე წინ და უკან დაატარებს ამ ხალხს?

ყველაზე მეტად მაღალ-მაღალი, მხრებში მოხ-  
რილი ახალგაზრდა კაცი ღელავდა. ამ ჩოფურა,  
შოლოთად ჩაცმულ ალაწოდან გემბანზე ულაზა-  
თოდ გაეჩაჩხა მოკაუჭებული ფეხები, მარჯვენა

### ოთარ ლეკვარაშვილი

ნამდელი ამბავი

ხელი ბოლომდე ჩახსნილ საქინძესთან მიეტანა და  
ჩახლჩილი ხმით ეუბნებოდა მგზავრებს:

— დღეს დილით ბათუმიდან ბიძაჩემის დაღუპ-  
ვის დეპეშა მივიღე... გესმით, ხალხო, წუთი რა  
არის, ახლა წუთიც მილიონი მიღირს!.. ამ დალო-  
ცვილ კაპიტანს კი ალბათ ჰგონია, რომ ყველა  
მგზავრი მხოლოდ სასიეროდ და ზღვის სუფთა  
ჰაერის საყლაპავად არის ამოხული გემზე!..

— მართლაც ამბობ, ძმობილო, მართლაც!

— ტუთილად როდი უთქვამთ ქვიან ხალხს:  
სხვისა ჭირი ღობეს ჩხირია!

— ასეა, მეგობარო, ასე!.. ყველას თავისი გზა  
და თავისი დარდი აქვს საფიქრებელი!..

რამდენიმე წუთის შემდეგ სევასტოპოლის ნავ-  
სადგურში საყვირის გაბმული გუგუნით შესრიალ-  
და ტალახში ამოსვრილი მანქანა.

საჭესთან დახრილმა შოფერმა ცისფერი „ვოლ-  
გა“ ოსტატურად გააძვრინა ქალამბარითა და ხი-  
დური ამწეებით ჩახერგოლ განსაცდელში, ავან-  
პორტზე შეკრებილ ხალხში ნელ-ნელა გაიკაფა გზა  
და „ცისარტყელას“ გემბანიდან ახლად ჩამოშვე-  
ბულ ტრაბთან შეაჩერა მანქანა.

ეგოროვი გემის წინა ერთდღე მიეგება მანქანი-  
დან გადმოსულ სტუმრებს. საშოქლაქო ტანსაც-  
მელში გამოწყობილმა ხუთმა კაცმა, კაპიტანთან,  
ერთად, უსიტყვოდ გაიარეს თბომაგალის დაცარიე-  
ლებული ბაქანი, ვიწრო კიბით პირველი კლასის  
განყოფილებაში ჩავიდნენ და ლუქისის კარის წინ  
მცველად დაუქნებულ მეზღვაურთან შეჩერდნენ.

— მორიგე დისბეჩერმა წვლან ნავსადგურიდან  
მეგაფონით მაცნობა, — ეგოროვმა ოღნვ აუწია  
ხმას, — რომ ამ ორდგილიანი ლუქისის ბილეთები,  
ოღესიდან გემის გამოსვლის წინ, თურმე ვიღაც  
ახალგაზრდა, შავებში ჩაცმულმა ქალმა შეიძინა!..

— რა შეგიძლიათ გვითხრათ კიდევ, ამხანაგო  
კაპიტანო?!

— გაყიდული ბილეთების მიხედვით თუ ვიმ-  
სჯელებთ, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ბათუ-  
მიამდე სამოგზაურად ამ ლუქსში ორ ადამიანს  
უნდა დაეკავებინა ადგილები. ოღესიდან გემის გა-  
მოსვლის შემდეგ კი, კაიუტაში შემოსასვლელად,  
მორიგე მეზღვაურს მხოლოდ ერთმა, ხანში შე-  
სულმა კაცმა წარმოუდგინა ბილეთი!..

— საგულისხმო ფაქტია!.. — ორმოციოდე წლის  
გრუშათიანმა კაცმა ოღნვ მოკლულთი თვალბინი  
სწრაფად მოავლო დღის სინათლესთან განათებულ  
დერეფანს და მის წინ მხედრულად გაქიმულ მე-  
ლოტ კაცზე შეაჩერა მზერა:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვიდრე ლუქსში მუ-  
შაობას დავამთავრებთ, კაპიტანთან ერთად თქვენ  
გემის ზედა სართულზე ადით და პირადად შეა-  
მოწმეთ ყველაფერი!..

მოსაუბრე შეჩერდა, ხელში შეჩინილი ჩაფერ-  
ფილი სიგარეტი დერეფნის კუთხეში მიდგმულ  
ურნაში ჩააგდო და პირველმა ფრთხილად შეაღო  
ლუქისის წითლად შეღებილი კარი.

\* \* \*

შესასვლელიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით,  
იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე, გულაღმა ეგდო სი-  
სისხლის ამოსვრილი კაცი.

ამ ქალაქა, უკვე შუახანს მიტანებულ კაცს  
ორივე დამუშტული ხელი მუცელში ტარებდა ჩა-  
ცმულ დანასთან მიეტანა, ფერმკრთალი სახე ოღ-  
ნვ გვერდზე მოებრუნებინა და ღიად დარჩენილი  
თვალბინით უაზროდ მიშტერებოდა ჭერს.

სისხლის სამართლის სამმებრო განყოფილების  
ოპერატიული მუშაკი ივანე ვლასოვი ექიმის სა-  
ბოლოო დასკვნის მოლოდინში სავარძელში გა-  
რინდებულიყო და ყურადღებით ათვალიერებდა  
ლუქსს.



# თვენი ქვემოთ



მხატვარი დ. პირისთავი

მოზრდილი კაიუტა გემოვნებით იყო მოწყობილი. ნათელი ფერით შეღებილი კედლები და სადა ავეჯი ოთახში შემოსულ ადამიანს თავიდანვე რაღაც საამო განწყობილებას უქმნიდა.

კაიუტის სიღრმეში ორი დაბალი სავარძელი იდგა გამოღებულ ლუკთან, შავი მინით მოპირკეთებულ მაგიდაზე, ვლასოვის ყურადღებას შორიდანვე იქცევდა ბროლის შუაზე გადატეხილი ლარნაკი, ოქროს საათი და ერთმანეთში უწყისრიგოდ არეული მამაკაცის დაჭიმული პერანგები...

— ამხანაგო მაიორო, გვამის დათვალიერება დავამთავრე! — ფიქრებში წასულ ვლასოვს მოულოდნელად მოესმა ფეხზე წამომდგარი ექიმის მშვიდი ხმა, — გადაჭრით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ამ კაიუტაში ჩვენ თვითმკვლელობასთან კი არა, მკვლელობის შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

— დამისაბუთეთ თქვენი მოსაზრება, ექიმო!

— ალბათ დამეთანხმებით, ამხანაგო მაიორო, რომ ძნელი დასაჭერებელია, ადამიანმა გემზე ამოსვლის შემდეგ დანით გადაწყვიტოს თავის მოკვლა... ჩვენს ხელში დაგროვილი მასალები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ხანში შესული კაცი ვიღაც ფრთხილი, გამოცდილი დამანაშავეს ხელით არის მოკლული!

ეგოროვმა ცისფერი თვალები შეანათა ექიმს.

— დიხ, ამხანაგო მაიორო, ჩვენთვის, სპეციალისტებისათვის, კარგად არის ცნობილი, რომ ასეთ ძლიერ, მუცლის ღრუდან გულში მოსახვედრად გამოწვდილ დარტყმებს მხოლოდ გამოცდილი, პროფესიული მკვლელები აკეთებენ ხოლმე!

ჩაფიქრებულმა ვლასოვმა მოკლე, მოზომილი ნაბიჯით გაიარა კაიუტაში.

— ხომ ვერ გვეტყვით ექიმო, დაახლოებით რამდენი ხანი შემიძლება გასულიყო ამ შემაზრუნენი მკვლელობის შემდეგ?

— მიცვალებულის დათვალიერებამ დამანახვა, რომ მის სხეულზე ჭერ კიდევ ხუსტად არის გამოხატული გვაშური ლაქები. ეს გარემოებები საშუალებას მაძლევს დავასკვნა: ხანში შესული კაცი დაახლოებით ერთი ან ერთნახევარი საათის წინ უნდა მოკვლა უცნობსი..

— გარდა ამისა, — ექიმმა მაშინვე გააგრძელა სიტყვა, — გარდა ამისა, ამხანაგო მაიორო, ახლაც მინდა გაგაფრთხილოთ, რომ მოკლულ კაცს სხეულზე არავითარი ბრძოლისა და ძალადობის ნიშნები არ ემჩნევა...

— გაქვთ თუ არა, კიდევ რაიმე სათქმელი ექიმო?

— მაქვს!

ექიმი შეყოყმანდა, რამდენჯერმე ნაძალადევად ჩაახველა და ფიქრში წასული ხმით ჩაილაპარაკა:

— მაქვს, მაგრამ ამის შესახებ, ცოტა ხნის შემდეგ ცალკე და დაწვრილებით მინდა მოგელაპარაკოთ, ამხანაგო მაიორო!

\* \* \*

მაიორი ვლასოვი გაოცებული იყო. ოპერატიულმა მუშაებმა, გულმოდგინე ძეხვის მიუხედავად, ვერსად მიაკვლიეს ვერც მოკლულის

პასპორტს და ვერც მის სხვა რაიმე პირადობის მოწმობას.

იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ბოროტ-მოქმედმა მკვლელობის ჩადენის შემდეგ გაფაციცებით გადახრიკა ლუქისი, ათასგვარ ნივთებში მაინც და მაინც თავისი მსხვერპლის საბუთები ამოარჩია და, რატომღაც, მათი გატაცება გადაწყვიტა.

რაში იყო საქმე? რატომ დასჭირდა მკვლელს, ასეთი უცნაური და გაუგებარი მოქმედება ჩედინა?

დამანაშავეს, რომელმაც გამეტებით ჩასცა დანა ამ შუახნის კაცს, ადვილი შესაძლებელია, რომ ნერვიულობის გამო მხედველობიდან გამოჩრა მოკლულის შუა თითზე გაკეთებული ოქროს ბეჭედი. მაგრამ მაიორმა იცოდა, რომ ეს დამანაშავე, თუ კი იგი კაიუტაში გაძარცვის მიზნით იყო შემოსული, აუცილებლად შენიშნავდა შავი მინით მოპირკეთებულ მაგიდაზე დადებულ ოქროს საათს. რა თქმა უნდა, მას არც მოკლულის ჯიბიდან გადმოვარდნილი ქალის ბეჭდისა და ვერცხლის პორტსივარის წაღება დაავიწყებებოდა!

მაიორს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ეს კაცი ლუქსში მარტო გაძარცვის მიზნით არ უნდა ყოფილიყო შემოსული. კაცის მოკვლისათვის მას, როგორც ეტყობოდა, ჭერ კიდევ ამოუცნობმა, რაღაც დიდმა საიდუმლომ უბიძგა.

— ამ მოკლულ ადამიანს, — მაიორმა ხელი იატაკისაკენ მიიშვირა, — ამ მკვდარ ადამიანს მარჯვენა ხელის ზურგზე, ცისფერი ტუშით, ჩვენთვის გაუგებარ ენაზე, რაღაც სიტყვა აქვს ამოტვიფრული.

— მერე?..

— მერე ის, რომ ჩვენთვის უცნობმა ამ ერთადერთმა სიტყვამ, ადვილი შესაძლებელია, მოკლულის ვინაობა გაგვაგებინოს...

მაიორმა სული მოითქვა, გვამის წინ გაჩერებულ ოპერატიულ მუშაკებს ახედა და მშვიდად დაამთავრა სიტყვა:


— ეჭვი არ მეპარება, გემის ბაქანზე აუცილებლად იქნებიან კავასიელი მეგობრები, რომლებიც დახმარებას გაგვიწვივენ და ზუსტად გაგვაგებინებენ ამ სიტყვის შინაარსს!


ცოტა ხნის შემდეგ ლუქისის კარი ფრთხილად შემოაღო გემის მთავარმა მექანიკოსმა არჩილ ლაფაურმა. ბრგე ვაჟკაცმა თვალი აარიდა მკვდარს, ორიოდ ნაბიჯის დაშორებით შერჩედა მისგან და ხალიჩაზე წინ გაწვილი ხელს დააკვირდა.

ლაფაური მყისვე გაიმართა წელში, დაძაბულ ვლასოვს გაუსწორა თვალი და ხვერდლოვანი ხმით წარმოთქვა:

— თქვენი ვარაუდი გამართლდა, ამხანაგო მაიორო!.. ეს მკვდარი კაცი ნამდვილად კავასიელი გახლავთ!.. ხელის ზურგზე მას ქართული სახელი „გოდერძი“ აწერია!..

(გაგრძელება იქნება)





## პროფ. აპელ ქიქვიძე

მეცნიერული საუკუნის განვითარებაში საქალაქო ცხოვრების ძლიერად განვითარების პერიოდში და მეოცე საუკუნეშიც, ჩვენს დროში, საქართველოს ქალაქებში ხალხის კეთილმოედა და ქართული პურის ცხოვა მხოლოდ რაჭველების ხელობა იყო და ამ საქმეში მათ მოცილებე არავინ ჰყოლიათ. რაჭველმა ხელოსანებმა დიდი ხანია, რაც ეს საქმე დაწერეს და განავითარეს ჩვენი ქვეყნის გარეთაც. ამ ბოლო დროს ხალხის კეთილმოედა წარმოების ჩვეულებრივად სასაღილოებში და რაჭველების გარეშეც ამ საქმეს უძღვრებიან, ვინაც კი საქმე აქვს სასაღილოს სამწარმოლოსთან, როგორც ამ დარგის მუშაკს. დავიწყებულია ხალხის მოხარვის ნაბეჭდი ხელოვნება და ამიტომაც ეს მუშაობა სასარგებლო კერძი ხშირად მუშაობს მარცხის ხელს.

ქართული პურის ცხოვა ჩვენს ქალაქებში და ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც ახლაც მხოლოდ რაჭველების საქმეა. ამიტომ ყველა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ხალხი რაჭველი საქმელია და თონში პურის ცხოვაზე რაჭვიდან არის თითქმის გაცილებული. მართალია თუ არა ეს?

საქმე ის არის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას რაჭვი წარმოადგენდა არა აქვს ხალხი. დაკლებული საქონლის ჯიჯარს (რაჭულია — შიგანს) იქ კარგად გასწვნიდნენ მრავალჯერს გარეცხვით, მოხარშავენ, როგორც რაჭვი იტყვიან — „გაგადა“, მარტოს წაყარავენ ზომაზე და ისე მიაქვთ სუფრასზე.

დავირგებთ გვიჩვენებს, რომ ხალხი წინადა ქართული საქმელია და ქალაქად მისი არაჩვეულებრივად გვერცელება ახსენება ამ კერძის სითაფით; ჯერ ისევ ადრე ქალაქის ხელოვნური წარმოება, მუშები, საერთოდ ღარიბი მოსახლეობა ეტანებოდა ხალხს, რომლის ნედლეულს ჩაღის ფასად და ხშირად უფასოდ მოულოდნენ მუშაობები ქალაქის სასაქლოდან. მაგრამ ხალხის ნედლეულის დამუშავება ე. ი. საქონლის ჩლიქებისა და ჯიჯარის გაწმენდა და მოხარშვა გამწვანდება, თვით მოხარშვა მოითხოვდა და მოითხოვს მძიმე და ხანგრძლივ ფიზიკურ შრომას. მუშაობები მთელი დღე-ღამის განვითარებაში მუშაობენ, რომ დიდი ადრე მშაღ იყოს კარგად მოხარშული, მსუქანი და სუფთა ხალხი.

ხალხის ნედლეული და მისი საწარმოო საშუალებები — ქვები, დანები, ჯამები, ხის კოვები, ქურა მაინც და მაინც კიდ თანხას არ მოითხოვს, შრომა კი დიდიან საჭირო ამ კერძის მოსამზადებლად. კერძის სითაფით მუშაობის მოგებას არ აძლევდა. ამიტომ მოხდა, რომ ხალხის წარმოება და ქართული პურის ცხოვა არც ერთ ქალაქში, კერძოდ თბილისში კაპიტალისტურ წარმოებად არ გადაქცეულა. როგორც თბილისიდან ფულის მქონენი, ისე უცხოელებმა ამ საქმეს ხელს არ ჰკიდებდნენ. ისინი აწყობდნენ მექანიზებულ დიდ საცხოვრებებს, რომ იაფი შრომით დიდ მოგებას დაუფლებოდნენ. ვასავებია, რომ ამ პერიოდებში რაჭველი ხელოსანი მუშები ადვილად დაეპატრონებოდნენ ხალხსა და ქართული პურის წარმოებას და მათ მართლაც მოიპოვეს მონოპოლია კვების მრეწველობის ამ ფრიად მნიშვნელოვან უზენაეს; ეს ასე ხდებოდა: ოთხი-ხუთი კაცი შეთანხმებულად, მორიგე-

ობით იზარებდნენ მძიმე ფიზიკურ შრომას. ისინი იყვნენ წარმოების პატრონიც და მუშებიც. მაგრამ მძიმე ფიზიკურ შრომაში მყოფნი ნაწილობრივ მაინც ხდებოდნენ სხვისი შრომის მიმთვისებელი. ეს შეეხებოდა შევირდობას. შევირდობად მუშაობისა და მეპურეებს რაჭვიდან ქალაქში თავიანთი მეზობლები მოჰყავდათ. „წამო ქალაქში, ხელობას გასწავლით“ — იტყოდა სოფლად ჩასული მეპურე ან მუშა მუშები ახალგაზრდას. ასე უბრალოდ, მშობლებთან, თუ ცალკე, დამოუკიდებლად, ახალგაზრდასთან შეთანხმებით დრო და დრო იკრებდნენ თავიანთ გარშემო შევირდობებს მეპურე-მუშაზე რაჭველები.

მაგრამ შევირდობის პერიოდი დიდხანს არ გრძელდებოდა. იგი იწყებოდა შემოდგომაზე და თავდებოდა გაზაფხულზე. ადგომას ქალაქად წამოსული შევირდობ, ქალაქურად გამოწყობილი, რაჭვიში რომ იტყვიან „გამოიარაღებული“ უნდა დაბრუნებოდა მშობლებს, თან უნდა მიეტანა სახლი სხვადასხვა საჩუქრები და ცოტათოდენი ფულიც. მეორე წლისათვის ის ან სრულფასობიანი წვერი იყო ამხანაგობისა, ან ცალკე გახსნიდა წარმოებას — ვისმეს შეიამხანაგებდა, ან შეუამხანაგებოდა. თონში პურის ცხოვა კიდევ უფრო მძიმე შრომას მოითხოვს, ვიდრე ხალხის დამუშავება. ასე რომ, რაჭველ მუშა-ხელოსანებს, რომლებიც ქალაქად ცარიელ-ტარიელი მოდიოდნენ „ფულის მოსაგებად“, ამ საქმეში არავინ ეცლებოდათ. რაჭულ თქმაში შენარჩუნებულია „მოგების“ ძველი მნიშვნელობა. ძველ ქართულში „მოგება“ ნიშნავს შოვნას, შექმნას. რაჭველი იტყვის: მოსაგებში ვიყავი, ან მოსაგებშია წასული, ე. ი. საშოვარზე ვიყავი ან საშოვარზეა წასული.

ამხანაგობა შეეხებოდასაც ინაწილებდა შეთანხმებით, რომ რაჭვიდან გასული კაცი წლის განმავლობაში გაზაფხულზე ან შემოდგომაზე თავის კარმიდამოს დაბრუნებოდა. იქაც, რა თქმა უნდა, ის მუშაობდა და „დროს გასატარებლად“ ერთი ან ორი დღე თუ დღარჩებოდა.

თონე და მისი ჩადგმა თვით, რაჭველებმა იციან და ამაზე მაინც და მაინც ფულით გაუბა არ სჭირდებათ. როგორც მთელ საქართველოში, ისე რაჭვიშიც გავრცელებულია თონე. მაგრამ „ქართულ პურს“ რაჭვიში არ აცხობენ. რაჭვიში იციან „შოთები“. მისი ცომის დამზადება და ცხობაც „ქართული პურის“ ცხობისაგან განსხვავდება. შოთებს უმეტესად ცხობენ ქვევებში, რომლებსაც „აფიცებენ“ ე. ი. აღმართვენ ცეცხლის ძირას.

თონე ძველად ცხობდნენ დიდ ოჯახებში: როცა რაჭვის ერისთავები გადიოდნენ სალაშქროდ, მათ უკან მისდევდათ ცხენებზე ავიდებული გაჭირვანი თონები, რომლის ნაწილებს ადვილად აერთებდნენ, როცა დაიბანაკებდნენ. ცხენები და ცხობით თონები იყვნენ აგრეთვე სამშარველოთი და სარკმლიანი ნაბეჭით კარების ასაგებად, ხოლო ტრანსპორტის წინ აცხობენ ქვევებში, რომლებსაც „აფიცებენ“ ე. ი. აღმართვენ ცეცხლის ძირას.

თონე ძველად ცხობდნენ დიდ ოჯახებში: როცა რაჭვის ერისთავები გადიოდნენ სალაშქროდ, მათ უკან მისდევდათ ცხენებზე ავიდებული გაჭირვანი თონები, რომლის ნაწილებს ადვილად აერთებდნენ, როცა დაიბანაკებდნენ. ცხენები და ცხობით თონები იყვნენ აგრეთვე სამშარველოთი და სარკმლიანი ნაბეჭით კარების ასაგებად, ხოლო ტრანსპორტის წინ აცხობენ ქვევებში, რომლებსაც „აფიცებენ“ ე. ი. აღმართვენ ცეცხლის ძირას.

ზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი და ოთხ დღეს უნდებოდნენ ქვეითად თბილისში ჩამოსვლას. ზემო რაჭველები მოდიოდნენ დღევანდელ სამხრეთ ოსეთზე გავლით გორამდ და იქიდან თბილისში, ხოლო ქვემო რაჭველები საქალოკის მთით გადადიოდნენ ჭიათურაში და აქედან სურამ-ხაშურში.

რაჭის ყოველ სოფელში შეიძლება შეხედვს კაცი დურგალს, კალატოვს, ზინკალს, მჭედელს. დურგალობაში უფრო გამოირჩევა ქვემო რაჭის სოფლები. განთქმული იყვნენ ტლა-ხვანჭკარიდან კალატოვები შინაწილები და ტყეშელაშვილები, ხოლო აგლაძეები სოფ. მუხლიდან სურათმოდგობასაც კი ეწოდნენ; რაც შეეხება პურის მცხობლებს, მე-პქარალამებებს, მწარეულებს, ევროპული სასაღილოების წარმოებათაც ცოდნეებს და მუშაობებს, ისინი სხვადასხვა სოფლებიდან არიან. მეპურეები იწყებიან შუა რაჭვიდან და ქ. ონამდე აღწევენ; ასევე მუშაობენ განსაკუთრებით წესსა და ონ შუა მდებარე სოფლებიდან არიან. ონის აღმოსავლეთით, ონის მარჯვენა და მარცხენა მხრის სოფლებიდან განსაკუთრებით მისდევენ მწარეულობას, მებუფებობას და საერთოდ ევროპული ტიპის სასაღილოების (რესტორნების) წარმოებას.

ზემო რაჭველ მწარეულს თუ რესტორანის მომწოდებელს შეხედება კაცი ვლადივოსტოკში და ხანაოვსკში.

მეშაქარალამებებში განთქმული იყვნენ ქვემო რაჭვიდან კაციტაძეები (სოფ. ბარელი), დარბაზელები (სოფ. დვარა) და საგანელიძეები (სოფ. კვატხეთი); საადღგომოდ რაჭველი უნდა დაბრუნებულიყო სოფლად, თუნდაც შორეულ აღმოსავლეთში ყოფილიყო წასული საშოვარზე და ცოდვლისათვის ტანსაცემით და ოჯახისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთები მოეტანა.

1928 წელს საადღგომოდ წაყვანილი ვეავედი სტუმრად თავის სოფელში (საკო) ჩემს ამხანაგ გრიგოლ ჯავარიძეს (ამჟამად მებარეულობის საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი). აღდგომასა და მეორე დღესაც რაჭვიში იცოდნენ მეზობლების ურთიერთ გადაწვევა. ჩემმა მასპინძლებმა გადამიყვანეს ერთ-ერთ მეზობელთან. შუა სახლში გამართულ სუფრას შემოსხმოდნენ სტუმარ-მასპინძლები, რომლებმაც ალტაცებით მიგვიღეს. ისინი დიდი ყურადღებით უსმენდნენ მასპინძელს, ოჯახის თავცაცს, რომელიც ახლანა ჩამოსულიყო საადღგომოდ სახლში, რომ მოეტანა თავისი ქალბისათვის ოცდაათობე დეტრი ფართალი (ჩითი, სატინა და სხვ.) და კიდევ მცირედენი სხვა საჩუქარი. ეს იყო ათანასე გორდუნიანი. გზაში ის სანახევროდ გაემარცხათ.

გორდუნიანი მწარეული იყო. გარეთ გასული რაჭველისათვის მგზავრობა არა იშვიათად უბედურებას მოასწავებდა, მაგრამ ამას იწვევდა თვით რაჭველების გაუფრთხილებლობა, სრული დაუვირევლობა იმაზე, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო; როგორ ხდებოდა მატარებელში მგზავრებზე თავდასხმა, ეს ისედაც ცნობილია. მაგრამ ცნობილი არ არის ქუთაისიდან რაჭვიში მიმავალ გზაზე მგზავრების ძარცვისა და მოკვლის ამბები.

ეს ის გზაა, რომელიც ქუთაისიდან ცოცხალ კოლომეტრზე, იქ სადაც დღეა ხევში რომის მარჯვნივ უხვევს და სწრაფად მიმართულებას იცვლის, მარცხნივ იბრუნება პირს, გარშემო მთებით იკეტება ხეობა ისე, რომ აქედან არც კაციცა და არც თოვის ხმა არსად გადის. ამ ადგილას ძარცვადნენ აბრავები ქალაქებიდან თავიანთ სოფლებში მიმავალ რაჭველ მუშებს. როგორ ხდებოდა ეს?

ქუთაისში, ჯაჭვის ხიდის ახლოს იყო რაჭველების ბირჟა, სადაც ისინი ეტლეს ქირაობდნენ. იქვე, რაჭვიში გამგზავრების წინ, რესტორანში ისაუბრებდნენ და კარგადაც შეზარხოშდებოდნენ. ფულის გადახდის დროს (ანუ ნახარჯის გასტუმრების დროს, როგორც იტყვიან რაჭველები) მგზავრები ერთმანეთს ეცოდებოდნენ, ჯიბეებს ამოლაგებდნენ. იქვე მათ უთვალთვლებდა აბრავთა ჯგუფის წევრი, რომელიც კარგად შეისწავლიდა თუ ვის რამდენი ფული ჰქონდა და შემოუჭებოდა, როგორც მგზავრი იმ ეტლს, რომელსაც მიჰყავდა თბილისიდან თუ შორეულ ქალაქიდან რაჭვიში მიმავალი, „მოსაგებიდან“ დაბრუნებული მგზავრები. როგორც კი მიაღწევდა ეტლი ჟონეთის გასასვლელად დასტურებულ ხეობას, იქიდან „მგზავრი“ აბრავი ნიშნის მისცემდა ამხანაგებს და ისინი ეტლს გასტუმორებდნენ. ერთიანად გასცოდნენ, ვისაც კი ფული აღმოჩნდებოდა, ბარგაბარხანას ისინი ხელს არ ახლებდნენ და ამას ჩადიოდნენ უბრალო მოსარჩებით, რომ სასწრაფოდ მიმალვასი ბარგი ხელს შეუშლიდათ. ვინც კი შეიარაღებული იქნა მისაღმდეგობას გაუწევდათ, მას იქვე ჰკლავდნენ. ეს მძარცველები ძალიან შორეულები არ იყვნენ. ისინი უმეტესად იყვნენ ადგილობრივი გლეხები ოკრიბიდან და დვარადიდან. მათ ყაჩაღებდა მიანდათ თავი, ნამდივლად კი არცხვენდნენ სახელს უნაჩლისას, რომელიც ჩვენს ხალხში მიჩნეული იყო უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ამ აბრავობას რაჭველებს მისცა სწრაფად მოეღო ხოლო.

რაჭის მივარდნილ მთის სოფლის საკაოს მცხოვრები ათანასე გორდუნიანის, ჩვენი წყნობი ათანასე სუფრა არ ჰგავდა ღარიბი კაცის სუფრას, გაწყობილი იყო იშვიათი სერვისით. ფაიფურის საინებზე ელაგა დაჭრული რაჭული ლორი და მოხარული ქათამის, უცხად შუა სუფრაზე ფრუის ყალიბი ახსენს და ჩუქურთმიან ზოდებად გადმოიშალა რადაც ცომის მსგავსი. „ეს კრემია, ათანასე ხელობა გახლავითო“ — განაცხადა დიანახლისმა. კაცს გაგაოცებდა ეს ამბავი. რა არის კრემი, განა ეს რაჭის სოფლებში იცოდნენ, ან იციან? მაგრამ რაკი ათანასე ხელობად გამოცხადდა კრემი, ყველაფერი გასაგებ გახდა. XIX-XX საუკუნეთა მანძილზე ასე თანდათან ვრცელდებოდა რაჭაში შემოტანილი „ხელობა“, რომელიც უპირისპირდებოდა ადგილობრივ მდიდარ შინაძრეველობას და თანდათან აღარ იხებდა მას, დავიწყებას ეძლეოდა საოჯახო წარმოების ძველი წესები. ასე ხდებოდა არა მარტო რაჭაში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც.

(დასასრული იქნება)

როდესაც მე ამ შენიშვნებს ვწერდი, „კომსო-  
მოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა სტატია, რომელიც  
მოგვითხრობდა იმაზე, თუ როგორ შეიქმნა „საქმე“  
ორი ქალიშვილის საქციელზე ყირგიზეთის პატარა  
ქალაქ ოხნაში; ეს ქალიშვილები ინსტიტუტის დამ-  
თავრების შემდეგ ჩავიდნენ იქ სამუშაოდ. საბრალ-  
დებო „საქმის“ შესაქმნელად მრავალი მიზეზი და  
საბაბი ჰქონდათ. სახუმარო საქმე ხომ არ არის:  
ქალიშვილები თურმე დადიოდნენ შავრვლებით, სა-  
წოლებს მოხსნეს რკინის ზურგი და ტახტებთან გა-  
დააკეთეს, თავიანთი ოთახის ორ კედელი ვარ-  
დისფრად შეღებეს, ორი კი თეთრად, ამას გარდა  
ერთ კედელზე დახატეს იალქანი და პალმები,  
მეორეზე კი ჩამოჰკიდეს „უხამსი სურათები“—მი-  
ქელანჯელოს „დავიდისა“ და რუბენის „მიწისა და  
წყლის კავშირის“ რეპროდუქციები... ერთი სიტ-  
ყვით, როგორც ეგონათ, ხელთ იგდეს ამორალური  
ყოფაქციების ფაქტები.

ალბათ ყოველ ჩვენგანს არ გაუძნელდება გაიხ-  
სენოს, რომ ამის მსგავსი ამბავი ან გაუგონია ან  
კიდევ წაუთიხხავს, და ასეთი ამბავი ხდება ხოლმე  
არა მხოლოდ პატარა და შორეულ ქალაქში, არა-  
მედ დედაქალაქთან უფრო ახლოს მდებარე ადგი-  
ლებშიც, სადაც მოსახლეობა ვაცილებით მეტია.  
რასაკვირველია ეს, „უჩვეულო შემთხვევებია“,  
მაგრამ მათში არის რაღაცნაირი „ერთგვარობა“,  
რამაც შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, თუ რისი  
შედეგი არიან ისინი. ამიტომ მე დავიწყებ ერთი  
კოლექტიური წერილიდან, რომელიც მიიღო შურ-  
ნალ „იუნოსტის“ რედაქციამ.

„მეორედასო რედაქცია მოგმართავთ ალტაის მხა-  
რის ქ. გორნოალტაისკის მე-13 თერთმეტწლიანი  
სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეები: ამას წინათ  
ჩვენთან კრებაზე მსჯელობა გაიმართა იმის შესა-  
ხებზე, თუ რა შეიძლება წავიკითხოთ ჩვენ და რა  
არა. ჩვენი მშობლები ამტკიცებენ, რომ არ შეიძ-  
ლება ვკითხულობდეთ დიუმას, მოპასანის, ზოლას  
და სხვა საზღვარგარეთელი მწერლების ნაწარმოე-  
ბებს. ჩვენ მოგმართავთ თხოვნით გვიპასუხოთ, თუ  
რას ფიქრობენ ამ საკითხზე სხვა სკოლის მსწავ-  
ლებლები, მშობლები, მოსწავლეები და ძალიან  
გთხოვთ გამოგვიგზავნოთ სია შესაფერისი წასა-  
კითხი ლიტერატურისა მეცხრე კლასებისათვის.  
ჩვენ ვეთანხმებით ჩვენს მშობლებს იმაში, რომ ამ  
ნაწარმოებთა კითხვაში ზომიერება უნდა დავიც-  
ვათ, რომ მეტი დრო უნდა მოვანდომოთ კლასიკო-  
სებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებს,  
მაგრამ არ ვეთანხმებით იმ აზრს, თითქოს საზ-  
ღვარგარეთელი მწერლების კითხვა საჭირო არ  
იყოს. გთხოვთ დაგვეხმაროთ“.

ვფიქრობთ, რომ დიუმა ამ წერილში შემთხვევით  
მოხვდა, მას უტყობობა გვარმა „უღალატა“. ჩვეუ-  
ლებრივ, მე-9 კლასში დიუმა წაკითხულიც და გა-  
დაკითხულიც აქვთ, მისი წიგნებით გატაცება ადრე  
თავდება და იგი არც წარმოადგენს რაიმე საფრ-  
თხეს. სულ სხვაა მოპასანი და ზოლა, რომელთაც  
მოსწავლეები და ალბათ მათი მშობლებიც რა-  
ტომდაც უპირისპირებენ კლასიკას, თუმცა მათი ნა-  
წარმოებები დიდი ხანია კლასიკურ ლიტერატურას  
განეკუთვნებიან ისევე, როგორც მაგალითად, ტურ-  
გენევის და ჩეხოვის წიგნები. მაშ რატომ იწვევენ  
შეშფოთებას ზოლა და მოპასანი მშობელთა შო-  
რის?

ნუ მოგიტყუებთ თავს: შეშფოთებას იწვევენ  
უმთავრესად იმიტომ, რომ მათს წიგნებში მოცემუ-  
ლია გულახდილი, აშკარა აღწერილობა სიყვარუ-  
ლისა. საჭირო კი არის საერთოდ, რომ ჰქაუტებმა  
და ქალიშვილებმა იცოდნენ ცხოვრების ეს მხარე,  
ხომ არ იმოქმედებს მათზე ცუდად და ხომ არ  
გარყვინს მათ ის, რასაც მოპასანისა და ზოლას  
წიგნებში წაიკითხვენ? თუმცა, წამსვე იბადება  
კითხვა: რატომ მოხვდნენ საბროსკრიბციო სიაში  
მხოლოდ მოპასანი და ზოლა? იქნებ უტყობური  
„შეცოდება“ უფრო საშიშია? თუ თანამიმდევრულ-  
ნი ვიქნებით, სიას ამ წიგნებისას, რომლებიც  
მშობლებმა ჩაკეტილში უნდა შეინახონ და ბიბლი-  
ოთეკებმა არ მისცენ ჰაბუტებსა და ქალიშვილებს,  
უნდა დავუმბრტყოთ პუშკინის და ტოლსტოის, გორ-  
კისა და ბუნინის, შოლოხოვისა და ფადეევის მრავალი  
ნაწარმოები.

მაგრამ რას მოგვცემს ეს, ან სადამდე მიგვიყ-  
ვანს?

საკმაოდ ფართოდ გავრცელებული შეხედულება,  
რომ არცოდნა — საუკეთესო დარაჯია. ზნეობისა  
და სათნოებისა, მეტი რომ არ ვთქვათ, გულუბრყვი-  
ლო ცთომილებაა; თუმცა ეს ცთომილება ყოველ-  
თვის გულუბრყვილო და უბრალო არ არის. ძალი-  
ან ხშირად ეს არის სავსებით გააზრებული პირ-  
მოთნობა და ფარისევლობა. მაგრამ როგორც გუ-  
ლუბრყვილებს, ისე პირმოთნებს ვერ გაუგიათ,  
რომ მზარდთა შეგნებაზე ცუდ გავლენას ახდენს  
არა დიდი ხელოვნება, რომელიც ზრდის ადამიანში  
კეთილშობილებას, სიწმინდეს, ზნეობრივ სიჯანსა-  
ღეს, არამედ „ქუჩა“ მისი სიბინძურით და უხამ-  
სობით. და როდესაც ბიჭები ცინიკური სითამამით  
ლაპარაკობენ ქალიშვილებზე, ან კიდევ უწინოდ  
ხარხარებენ კინოში სასიყვარულო სცენების დროს,  
ეჭვი არ უნდა შეგვპაროთ იმაში, რომ ეს მათ ას-  
წავლა არა მოპასანმა და ჰემინგუემ, არამედ ქუ-  
ჩამ.



ლ. ლაზარაძე

საკამათო არ არის, რომ უზნეობა ხელოვნებაში  
ისევე სახიფათოა და საზიზღარია, როგორც ცხოვ-  
რებაში. ამას დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ. და  
ბუნებრივია, რომ როცა მხატვარი ეხება ადამიანის  
ყოფის ინტიმურ მხარეს, მისი ზნეობრივი პოზიცია  
უმწიკვლო უნდა იყოს. მაგრამ გულუბრყვილობა  
იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფარისევლური პირობო-  
ნეობა უპირისპირდება უზნეობას, სინამდვილეში  
იგი ამორალობის ფართული მოკავშირეა.


ფარისევლობა თავისი ბუნებით უადრესად მეტრ-  
ძოლია, ის ხარავს უამრავ ენერჯიას იმისათვის,  
რომ გაიციოს, ზიზღი გამოუტყხადოს და აღმოფხვ-  
რას... ფარისეველი უმალ გამოიქნობს ხოლმე თუ  
რა შორს შეიძლება წაიყვანოს გამოუცდელი ახალ-  
გაზრდის წარმოსახვა ცნობამ იმის შესახებ, რომ  
აბანოში ბანაობენ ტიტვლები, ან კიდევ იმ ამბავმა,  
რომ არსებობს სამშობლიო სახლები; ფარისეველი  
გამონახავს საშუალებას, რომ ააცილოს ახალგაზრ-  
დებს ყოველგვარი ასეთი ცნობები, რასაც თით-  
ქოს შეუძლია მათი გონება და აზრები წარმართოს  
სახიფათო და საეჭვო ზოით.

რამდენიმე წლის წინათ. მწერალმა მაქს ბრემენ-  
რმა დაბეჭდა შენიშვნა, რომელშიც აღწერა თუ რო-  
გორ უკეთებდნენ მის მოთხრობას რედაქციას ერთ  
გამომცემლობაში, სადაც სცემდნენ წიგნებს ბავ-  
შეებისა და ახალგაზრდობისათვის; მე მიხნდა გად-  
მოგვცეთ ერთი ეპიზოდი ამ საგულისხმო ისტორი-  
იდან.


რედაქტორმა „მიჩენა აბაყები, რომლებიც მი-  
სი აზრით, ეჭვს იწვევდნენ. ორ ადგილას წითელი  
ფანქრით იყო შემოხაზული სიტყვები „მამაკაცი“  
და „ქალი“.

- რა არ მოგწონთ აქ? — ვკითხე მე.
- განა არის საჭირო, როცა ბავშვებთან ვკავშირდებით  
საქმე, ხაზი გავუსმით ამას?
- ამის შემდეგ ორივემ საუბარში ხმას აგუწიეთ.
- რა „ამას“?
- იმას, რომ კაცობრიობა დაყოფილია ორ ნა-  
წილად სქესობრივი ნიშნის მიხედვით.
- თქვენი აზრით, ეს უნდა დავუმალოთ ბავ-  
შეებს?
- დამალვა არა, მაგრამ არც წინა პლანზე წა-  
მოწვევა საჭირო!
- მე არ ვწვე წინა პლანზე...
- მაგრამ კიდევ ერთხელ შეახსენებთ.

ერთი თავი სტატიიდან „რა ვკითხოთ“  
(იუნოსტა, № 8).



საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



- მაშ რა გნებავთ?
- ამოვიღოთ ეს სიტყვები!
- არავითარ შემთხვევაში!
- წაიდეთ განყოფილების გამგესთან!

წავედით და იმასთან გადაწყვიტეთ: იქ სადაც „მამაკაცი“ და „ქალი“ ტექსტში ერთმანეთისგან მოშორებით არიან ნახსენები, დავტოვოთ, ხოლო იქ, სადაც ერთად არიან, ამოვშალოთ.

რედაქტორი ამქვეყნიური კაცია და სრულიად არ არის გულგრილად განწყობილი ცხოვრების უბრალო სიხარულისადმი: მან თვალი ჩამიკრა და მიხსრა:

- ასე უფრო კდემამოსილებას დაეცავთ.
- ეს ამბავი ნამდვილად მოხდა“.

ეს ისტორია „ლიტერატურაშია გაზეთამ“ დაბეჭდა განყოფილებაში „იუმორესკები“. თუმცა ეს უფრო სამწუხაროა, ვიდრე სასაცილო, მით უმეტეს, რომ ასეთი გადაჭარბებით ფხიზელი დამცველები ზნეობისა, დამონაკლისი არ წარმოადგენენ: ისინი გვხვდებიან არა მარტო სარედაქციო კაბინეტებში, არამედ სხვა დაწესებულებებშიც. მათ ფხიზელ თვალს არ გამოეპარება არავითარი „ნორმიდან გადახვევა“.

რამდენიმე თვის წინათ „სოვეტსკოე კინოში“ გამოქვეყნდა წერილი, მიძღვნილი მძაფრი და მხიარული კომედისადმი „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ (სცენარის ავტორები — ს. ლენინი და ი. ნუსინოვი, რეჟისორი ე. კლიმოვი), რომელიც დიდი წარმატებით მიდიოდა ეკრანებზე. წერილის ავტორები არიან — ქ. ტერნობოლის „კინოგაქირავების“ საოლქო კანტორის კინოპროგრამების შემდგენელი ო. ოლინოვა და ვ. მოშინსკაია. წერილიდან ჩანდა, რომ კინოპროგრამის შემდგენლები აღმფოთებული იყვნენ, მათი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი გრძნობები შეურაცყოფილი იყო: „აი ერთი, სასაცილო კი არა, არამედ სატირალი და არასაჟირო ეპიზოდი: იმისათვის რომ გაუქმებინათ „მშობელთა დღე“, ბიჭებმა გადაწყვიტეს, კინოთი დაესუსხათ სხეული. და ვანა საკმარისი არ იყო, რომ ბავშვებს ტანსაცმელი ტრუსებამდე გაეხადათ და ისე შესულიყვნენ კინოპარში, ვანა სავალდებულო იყო მთელი სხეულის გატიტვლება“.

არა, მართლაც არ არის ეს სასაცილო, როცა ასეთი ადამიანები რედაქციას უკეთებენ წიგნებს და ადგენენ კინოპროგრამებს. ისინი სათოფე მანძილზე არ უნდა მივუშვათ არც ხელოვნებასთან და არც იმასთან, რასაც რომე კავშირი აქვს აღზრდასთან. ეს ხომ მათი კოლექტიური მზრუნველობით აღიზარდნენ „ქარკი ყოფაქცევის“ ისეთი დამცველები, რომლებმაც ყირგიზეთის ქალაქ ოხნაში ქალიშვილებს „საქმე“ შეუდგინეს, ხოლო მიქელ-ანჯელოს და რუბენსის უკვდავი ნაწარმოებები. პორნოგრაფიად მიიჩნიეს!

არა, მოპასიანის და ზოლას კითხვა არ უნდა აკრძალვოდ, არამედ უნდა ვასწავლოთ იმათი კითხვა და გაგება, უნდა ვასწავლოთ როგორ უქცეონ რუბენსის და ტიციანის სურათებს, დატყბენ პეტრარკას და რონსარის პოეზიით; ის ვინც გაივლის ამ სკოლას, თავის დღეში არ აურევს ერთიმეორეში ბოკაჩოს „დეკამერონსა“ და არციბაშევის ბულვარულ „სანინს“ მან იცის, რომ ერთი ჯორჯონეს „მძინარე ვენერა“ ან რემბრანდტის „დანაია“ და სულ სხვა რამ არის პორნოგრაფიული სურათები. ვინც გაიარა ეს სკოლა, მას შესანიშნავად ესმის, რომ ადამიანის შიშველი სხეულის საშუალებით მხატვარი გამოხატავს სილამაზეს.

წარმოდგენა ხორციელ სიყვარულზე, როგორც ცოდვაზე, სიმარცხინოზე, უწმინდურზე — მოდის რელიგიური მორალიდან. მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ღვთისმოსავი ფარისევლები ყველაზე მეტად გარყვნილები იყვნენ. ეს ბუნებრივია, ფარისევლობა, არსებობდა, ეს ვახლავთ კარგად შენიღბული ცინიზმი. ფარისეველი დარწმუნებულია, რომ ყველა ადამიანი ზნედაცემულია, მაგრამ ზოგი მეტად ახერხებს ამის დამალვას, ზოგიც ნაკლებად.

ფრანგი პოეტი ბოდლერი ჰყვება ერთ ამბავს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ბიწიერება და ფარისევლობა აშკარად ენათესავებიან და უკავშირდებიან ერთი-მეორეს. ბოდლერმა თურმე ლუვრის მუზეუმში წაიყვანა მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალი, რომელიც „უკვდავი ქანდაკებებისა და სურათების დანახვისას წითლდებოდა, სახეზე ხელებს იფარებდა, ყოველ ნაბიჯზე მეწეოდა სახელოზე და მეკითხებოდა, თუ როგორ შეიძლება საქვეყნიოდ ასეთი უხამსი ნაწარმოებების გამოფენა“.

მაგრამ აი ლუვრის მეორე დამთვალეობელი, რომელიც დგას ვენერა მილოსელის წინ, უმზერს მას და აზრადაც არ მოსდის, რომ მის წინ შიშველი სხეულია. ეს ვახლავთ გმირი გლბ უსპენსკის ცნობილი ნარკევისა „გამოასწორა“, სოფლის მასწავლებელი, ხალხსანი ტიპუშკინი, რომელიც ნახევრად მშვიერი იყო, გამწარებულ და გატანჯული არამზადა მამასახლისის მიერ. მან გლუბაკობის უბედურებაც კარგად იცოდა. თვითმპყრობელური რუსეთის ამ საშინელ შთაბეჭდილებებს დაემატა ის, რაც ტიპუშკინმა დინახა პარიზში, სადაც იმ დროს ქუჩებში ხეტდნენ კომუნარებს და სადაც მძინვარდნენ ვერსალის სასამართლოები. ასეთ ვითარებაში რა უნდა ეთქვა მისთვის ვენერა მილოსელის ქანდაკებას? მაგრამ უტყვეროდა რა ამ სახელგანთქმულ ნაწარმოებს, მან უმაღ იგრძნო როგორ უბრუნდებოდა სიცოცხლეს, ლაღად იმართებოდა, სიმხნევით ივსებოდა მისი ნაწამები, დატანჯული გასრესილი სული.

ადრე არასდროს ასე ნათლად არ დასდგომია თვალწინ „ხალხის ამ თავგანწირულ ქომავს“ ის იდეალი, რომლის გულისთვისაც იტანდა შიშვილს, სიცოცხეს და ყოველგვარ დამცირებას. იმან გაიგო, რომ ვენერა მილოსელის შემქმნელს „უნდოდა თავისი დროის ადამიანებისათვის და ყველა საუკუნის, ყველა ხალხისათვის გულსა და გონებაში სამუდამოდ და ურყევად ჩაებუდა უდიდესი სილამაზე ადამიანის არსებისა, ეგრძნობინებინა მამაკაცისათვის, ქალისათვის, ბავშვისათვის, მოხუცისათვის ბედნიერი შეგრძნობა იმისი, რომ ის ადამიანია, იყვებინა და გავცხარებინეთ იმის შეგრძნებით, რომ არის შესაძლებლობა ყველა მშვენიერი იყოს“, ვენერა მილოსელის ჰერეტამ დაარწმუნა ტიპუშკინი, რომ მისი გარემომცველი ქვეყანა შეიძლება გარდაიქმნას და უნდა გარდაიქმნას. — თქვენს ფანტაზიას არ შეუძლია წარმოდგინოს ეს არსება (ლაპარაკია ვენერა მილოსელზე) ახლანდელ ადამიანურ ვითარებაში; ისე რომ არ დაირღვას მისი სილამაზე. და სიხარულით იბადება სულში სურვილი გამოასწორო, გაანთავისუფლო ახლა დამახინჯებული ადამიანი ამ ნათელი მომავლისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ მკაფიო მოხაზულობაც არა აქვს“.

მე მივმართე გლბ უსპენსკის ამ შესანიშნავ ნაწარმოებს იმიტომ, რომ მასში ღრმად და ზუსტად არის ნაჩვენები ცხოველმყოფელი სილამაზის ძალა, მაღალი ხელოვნებისა და ნამდვილი ადამიანურობის, ზნეობრივისა და სილამაზის ერთიანობა: სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად უყურადღებოდ ვტოვებდით საკითხს სილამაზის და ზნეობრიობის ერთიანობაზე, რასაკვირველია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვენერა მილოსელი ზოგიერთებს მხოლოდ შიშველი სხეულის გამოსახვის ცდად მიიჩნიათ, არამედ იმიტომაც, რომ არსებობს შეხედულება, შექსპირისა და ტოლსტოის ზნეობრივ იდეალებს ჩვენ უკვე „წინ გავუსწარი“, ჩვენ მათ რაღა უნდა გვასწავლონო! და მე აქ მინდა დავუბრუნდე კლასიკურ ხელოვნებას...

ერთი თეორიული ეურნალის რედაქციაში მაჩვენეს ფილოსოფიის მეცნიერების კანდიდატის სტატია, რომელიც ზუსტად შემდეგს წერდა: „შეიძლება თუ არა, რომ ახლა ჩვენ, საბჭოთა ადამიანები დავგაინტერესოს სიყვარულმა კლასიკური ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი გმირებისა, როგორც იყვნენ დაფნისი და ხლოე, ტრისტანი და

იზოლდა, რომეო და ჯულიეტა, ონეგინი და ტატიანა, ვრონსკი და კარენინა? დიახ, შეიძლება, მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით და არა მხატვრის თვალსაზრისით“. ეს სტატია არ დაბეჭდეს, კარგი კი იქნებოდა დაბეჭდოდა, რომ ტრისტანი არსებობს ასეთი შეხედულება, დაე გამოგვეტანა ის მზის სინათლეზე, მით უმეტეს, რომ ასე პირდაპირ და გაშიშვლებულად იშვიათად გამოთქვამენ ხოლმე ამ აზრს.


აბა სცადეთ სასკოლო ლიტერატურის სახელმძღვანელოში მონახოთ ის ადგილები, სადაც ლაპარაკია კლასიკოსების მნიშვნელობაზე დღეისათვის. „მთელი მოწინავე კაცობრიობა, რომელიც მისწრაფის გააერთიანოს თავისი ძალები ომის გამწაღებლებთან ბრძოლისათვის და დაამყაროს მშვიდობა და ნამდვილი დემოკრატია, გოგოლის სახით ხედავს თავის თანამებრძოლს“. „ჩვენს დროში ლერმონტოვი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის“ და ა. შ. ვანა ეს ფორმალური ფრაზები იმის გამოხატველი არ არის, რომ ამ სახელმძღვანელოს ავტორს გოგოლიც და ლერმონტოვიც აინტერესებს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ „ისტორიული თვალსაზრისით“ და როდენად ძნელია ასეთი სახელმძღვანელოს შესწავლის გზით მიაგნო იმ მაღალ ზნეობრივის არსს, რომელიც ნამდვილი ხელოვნების ყოველ ნაწარმოებს მოაქვს დროთა მანძილზე. მე მესმის იმ პედაგოგების გულისტკივილი, რომლებიც უფროს კლასებში ლიტერატურის სწავლების დროს მოსწავლეებს ეუბნებიან: „დაიფიქტეთ სახელმძღვანელოები“.

ბელინსკი წერდა პუშკინის ლირიკაზე: „მისი ნაწარმოების კითხვით შეიძლება შესანიშნავად აღზარდო შენში ადამიანი, და ასეთი კითხვა განსაკუთრებით სასარგებლოა ორივე სქესის ახალგაზრდებისათვის“. და ეს ისევე მართალია დღეს, როგორც მაშინ, როდესაც ეს სიტყვები იწერებოდა, იმიტომ, რომ პუშკინი „რუსი ადამიანია მის განვითარებაში, რომელიც შეიძლება მოგვევლინოს ორასი წლის შემდეგ“ (გოგოლი): და რაკია პოეტის ზნეობრივმა გრძნობამ ჩვენს დღეებამდე შეინარჩუნა და უნდა ვიფიქროთ მომავლისთვისაც შეინარჩუნებს ნიშნის, იდეალის მნიშვნელობას, მაშასადამე, ამ ნაწარმოებების კითხვა არის სავალდებულო სკოლა ყველაზე მაღალი ადამიანურობის აღზრდის მიზნით.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ითქმის არა მარტო პუშკინზე, არამედ შექსპირსა და ტოლსტოიზეც, სერვანტესსა და ჩეხოვზე, სიქსტეს მაღონასა და ვენერა მილოსელზეც... ასეთ მხატვრებს და ასეთ ნაწარმოებებს სათვალავი არა აქვთ, ისე, როგორც არ აქვს საზღვარი ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას. როდესაც მე ვლაპარაკობ წიგნების კითხვის მნიშვნელობაზე, მიმაჩნია იგი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ამოცანად, რომელსაც უშუალოდ ამოკიდებულია აქვს ხალხის კომუნისტურ აღზრდასთან.

მე ვამთავრებ ჩემს შენიშვნებს: დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვინც ელოდნენ ჩემგან რეცეპტს ან ზუსტ ინსტრუქციას, იმედგაცრუებულნი და გულგატეხილნი დარჩებიან. დიახ, ამ შემთხვევაში აქ ყოველგვარი რეცეპტი უადგილო იქნება. მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მუდმივი პრობლემა — რა წავიკითხოთ და როგორ წავიკითხოთ და გავაფრთხილო მკითხველი არ აპყვეს ზოგიერთ გავრცელებულ ცთომილებას.

35



# გაკვირვება უკეთესა

## სკენლი მემიწა

ნაკრების შემადგენლობის გამოცხადების დღეს უთენია უდღეი და მამასთან ერთად დღით სავალდებულო ვარჯიშზე გავეშურე. მამა ძველებურად აქტიურად აღარ მონაწილეობდა კრივის მსაჯობაში და მთელ თავისუფალ დროს ჩემს ვარჯიშს ანდომებდა, ძირითადად ჩემს ფიზიკურ მომზადებას ადევნებდა თვალყურს.

იმ სამახსოვრო დღიას გეგმაში მოკლე მანძილზე რბენა გეკონდა. მამა რბენის სისწრაფეს წამოშობით აკვირდებოდა. შემდეგ იმავე მანძილზე ბურთით დავრბოდი. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შევაფასე ამ ვარჯიშის უდიდესი სარგებლობა, თუმცა მაშინ მეტიმეტად ერთფეროვნად და დამლულიად მიჩვენებოდა. შესვენებისას მამას ვუთხარი: „დღეს გამოცხადდება შოტლანდიელებთან მატჩში მონაწილეობა შემადგენლობა, არ გინდა წამოხვიდე?“ მამამ პასუხი დააპოვნა: „მაგზე პასუხს საღამოს გეტყვი, როცა გუნდის შემადგენლობა ცნობილი იქნება, ისე კი, შვილო, მინდა ერთი რამ იცოდეს ცხოვრებაში ყველაფერი ისე როგორ ხდება, როგორც ჩვენ მოველით ხოლმე. თუ შენ ამას კარგად დაიმახსოვრებ, მაშინ გაცილებით იშვიათად დაგწყდება ხოლმე გული“.

შუადღემ მოაღწია, ვეღვაფი, გაკვირვებულზეც თითქოს ნებსებზე ვიჭეტი. სულ მოველოდი, ან ახლა მეთყვიან — დირექტორი გეძახისო და ან ახლა წარი დაირეკა, ამხანაგები გაიფანტნენ, ჩემთვის კი არავის არაფერი უთქვამს. იქნებ, დირექტორი მხოლოდ მაშინ გიბარებს, როცა ნაკრების შემადგენლობაში პირველად შეგიყვანენ? მიწაზე ფეხს არ ვაკარებდი, ისე ვაკვიცი შინ.

მამა მაგიდასთან იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მე რომ დამინახა, გაზეთი გვერდზე გადადო და მითხრა, რაღაც საყიდლები მაქვს და წამომყევიო. მე თვალგაფართოებული შევიცქირეო:

- მამა, შემიყვანეს ნაკრების შემადგენლობაში?
- სამწუხაროდ, აჭერად არა, შვილო!

მისი სიტყვები გულზე დანახავით მომხვდა. უაროდ ვიყურებოდი, თვალები ცრემლებით ამევსო. მამა ოთახიდან ჩუმად გავიდა. მე გაზეთს ვეცი და გუნდის შემადგენლობა ხმამაღლა წავიკითხე. გაზეთი ხელიდან გამივარდა. მაგიდაზე დავემხე და თავი ხელებში ჩავრგე.

ეს სასოწარკვეთილების წუთები იყო, მე მგონი, ჩემს ცხოვრებაში ამ წუთებმა რაღაც გადაწყვეტი რომელი ითამაშა. განა საჭიროა იმის თქმა, რა გულმოკლული ვიყავი? მაგრამ მაინც გადავწყვიტე ფარ-ხმალი არ დამეყარა: ახლა ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული.

მამაჩემის მეთვალყურეობით მუდმივმა ვარჯიშმა არ შეიძლება ტყუილად ჩამიაროს. მე ჩინებულად ვითამაშებ.

გადაწყვეტილება მიღებულია ცრემლები საღვაც გაქრა, მუხლებში ძალა ვიგრძენი.

ასე დაიბადა ახალი სტენლი მეტიუსი. ამის შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს თვითდაჯერებული არ ვყოფილვარ.

კიდევ რამდენიმე დღე და თხუთმეტი წლის შესრულებული. სკოლის დამთავრების შემდეგ მამას მუშაობაში უფრო მეტად ვუმართავდი ხელს. მაგრამ თავგამოდებულ წვრთნას თავს არ ვანებებდი.

ვგრძობდი, დღით-დღე ღონეც მემატებოდა, სისწრაფეც და გამოცდილებაც.

ერთ მშვენიერ დღეს, სამუშაოზე რომ მივდიოდი, შემთხვევით ჩემს ფეხსაცმელებს თვალი გადავახედე და სახტად დავრჩი. კარგა მაგრად შელანძლიეყო, ძირზე კი უშველებელ ნახვრეტს გავდო პირი. რაღაც ქალღმერთს დავეწვდი და მინდოდა ნახვრეტი იმით გამომჩურთა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მშვენივრად მესმოდა, ჩემი მშობლები რა ავლადიღების პატრონიც იყვნენ და ჩემთვის ახალი ფეხსაცმლის უიდეა მათთვის რამოდენა ამაზი იყო. საპარიკმახეროში რომ შევედი, სავარძელთან მივიყუყუე, მეშინოდა მამას ჩემი გასაჭირი არ შეემჩნია. მამამ რომ დამინახა, მშრალად მითხრა: დამალვა რაღას გიშველის, ახალი ფეხსაცმელით რომ ფეხბურთს თამაშობდი, კარგად ვიცი, ერთმა ჩვენმა მუშტარმა დაგინახა. ამაზე სახლში ვილაპარაკოთ, ახლა კი ჭაგარისი მომავლეო.

ნაშუადღეის ხუთი საათი იქნებოდა, უკანასკნელი მუშტარი რომ გამოვიტყუე. გზაში მე და მამაჩემი რაზე არ ვსაუბრობდით, ფეხსაცმელები ერთხელაც არ გვიხსენებია. დედა, როგორც ყოველთვის, ტრადიციულ ჩაიში მიგველოდა... ამ დროს კარზე ვიდაცამ დააკაკუნა.

— შემოდი, — გასძახა მამამ.

წელურბლზე „სტოკ სიტის“ მენაჭერი, ტომ მატერი გამოჩნდა. მამა სტუმარს მიესალმა და სუფრასთან მოიპატიოა. მატერი მე მომიბრუნდა:

— სტენლი, რომ იცოდეს რა კარგი მახარობელი ვარ! თხუთმეტი წელი რომ შეგისრულდება, მამაშენი თანახმაა ჩვენს კლუბში შემოხვიდე. კანცერლარიაში შეკრიბად იმუშავებ. სამაგიეროდ, ფეხბურთისათვის დრო რამდენიც გინდა, იმდენი გეტქნება, რას იტყვი, ა?

რა უნდა მეთქვა? მახარად მივდებენ თუ რა? ბედნიერებისაგან სული შემიგუბდა...

ჩემი დაბადების დღეს გვარიანად ციოდა. გულის ფანცქალით შევჩირდი „სტოკ სიტის“ საფეხბურთო კლუბის კარების წინ. უწარმაზარ შენობასთან თავი ერთი ციციკა მეოცა.

ბოლოს, როგორც იქნა, გული გავიმაგრე და „თანამშრომელთა შესახველი“ რომ ეწერა, ის კარი შევაღე. ოთახში არავინ იყო. მეორე კართან ფეხისწვერებზე მივივდი. უცებ კარი გაიღო და წელურბლზე გოგონა გამოჩნდა, ჩემი ტოლი გოგო. მან მეგობრულად გამიღიმა.

— ზელლო! შენა ხარ სტენლი მეტიუსი?

მე თავი დავექნიე.

— მე ბეტი ვალანსი ვარ, მამაჩემი ამ კლუბში მუშაობს მწვრთნელად.

— ძალიან მიხარია, ერთმანეთი რომ გავიცანიოთ, — როგორც იქნა ამოვღერდე.

— ნუ დედავთ, — დამაშვიდა ბეტიმ, — ახა რა გაქვთ ასადეღვებელი. ნახავთ, რა კარგია ჩვენთან. უბეველად მოგეწონებათ.

— მე ახლა მისტერ ვალანსს უნდა წარვუდგე, — გავუმხილე ჩემი მისვლის მიზეზი.

— მამა ახლა მუშაობს და თქვენს შესახვედრად მე გამომგზავნა. ახლავი წავიყვანთ მასთან. მამა მოედანზეა, ფეხბურთელებს ავარჯიშებს. წავიდეთ...

ჩვენ მინდორზე გავედით. ბეტის მამა ფეხბურთელებს ხმამაღლა აძღვედა განკარგულებებს. ისინიც კრინტის დაუჭრელად ემორჩილებოდნენ, ფეხბურთელებისა რა მოგახსენოთ და მე, პირველად რომ აღმოვჩნდი ნამდვილი პროფესიონალების გვერდით, ყველაფერი, ცოტა არ იყოს, უსიამოვნოდ და უხეშად მიჩვენა. მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ რკინისებური დისციპლინის გარეშე ჩვენი კლუბი ვერცერთ მეთოქეს ვერ გაუმკლავდებოდა.

როცა მწვრთნელმა დაგინახა, მოთამაშებებს რაღაც უთხრა და ჩვენთან მოვიდა. თავით ფეხთამდე ამათვალ-ჩამათვალეირა, მერე მეტიმეტად თავშეკავებლად მომმართა (შემდეგ გავიგე, რომ იგი ჩვეულებრივად ასე ლაპარაკობდა):

— მაშ, შენ ჭერ პატარა ხარ, მეტიუს, არა? რასაც გეტყვი, თუ შედმიწვინთ შეასრულებ, ბედს არ დაემდურები. მაგრამ თუ ზოგიერთივით ყალბად დაიწყებ, შენთვის წამლის გამოხახვაც არ გამოიჭირდება. ახლა კი წადი, გასახდელი გამოგვადე და კარგად მიაღებე. მერე ჩემთან გამოცხადდი.

ვალანსმა ზურგი შემეპიცია და მინდორზე გავიდა. გული დამწყდა. ბეტიმ ხელი ხელში ჩამჭიდა:

— წამო, სტენლი. გიჩვენებ, სადაა გასახდელი.


ბეტი, ბიჭო, რა კარგად ვიწყებ ფეხბურთელის კარიერას?! ხეტი, წმინდე, ალაგე გასახდელი, ხომ?

მე მეგონა, ნამდვილი საკანცელარიო სამუშაო მექნებოდა: კონვერტებზე მარკებს დავაწებებდი, ფოსტაში წავიდებდი, მაგრამ გასახდელის დაღებება?

(გავრძელება იქნება)

თარგმანი ლ. კოპაბია-შანჯიკიძისა

\* იხ. „დროშა“, № 5.



მისა პილდელი



კულტურის  
წინ



### ყვავილთა ცილობა

ყვავილთა შექმნათ ცილობა —  
ეს არ გეგონოთ ზღაპარი,  
დაკარგეს კდებმა, ზრდილობა,  
შეაწრიალეს მთა-ბარი.

იამ თქვა: ზამბახს ვჯობივარ,  
კარგად იციან ქალებმა,  
მზის სხივთან ერთად მოვდივარ,  
ღამაში ლაქვარდოვადღება.




ამოვიგინა ზამბახმა:  
დამჩაგრეს, ეს ხომ ცხადია,  
ამ უსუსურმა დამძრახა,  
სად მე, ტანადი, სად ია!

ვარდმა დახედა ზევიდან,  
წვრილი ყვავილნი რას ყეფენ,  
ჰე, გავიწყდებათ მე ვინ ვარ,  
ბულბულთა სატრფო და მეფე.

მიწას გართხმული იონჯა  
არ ერეოდა ამქარში,  
მაგრამ ფიქრობდა: ვინა სჯობს,  
ნახირს ვინ ჰკვებავს ზამთარში

### მურა და ფინია

ფარების მცველი მურია  
დაბერდა, მოტყდა საწყალი,  
ხშირად შია და სწყურია,  
აკლია პური და წყალი.



ჩეროში უქმად ადგია,  
ქოფაკი ღონემიხილი,  
ფინია უყუფს აყვია:  
„ჩაძაღღდებო, შიმშილით“.

ღეკვი დასცინის მურასა:  
„აღარ ხარ კურდღლის დამკერი,  
შეუშინდები ტურასაც —  
რაზე გაჭამონ საჭმელი?“

ურცხვს, კაღნიერს და უნიანს  
არც უფიქრია ფინიას,  
თვითონაც ეს დღე მოეღის,  
თვითონაც ძაღლის შვილია.

რესტორნის კარი გაბედულად შევალე. დილა იყო  
და იქ თითქმის არავინ დამხვედრია. მხოლოდ კუ-  
თხეში, პატარა მაგიდასთან იჯდა ვიღაც კლიენტი,  
რომელიც პირველი შეხედვისთანავე არ მომეწო-  
ნა: ჩანგლით გაშმაგებით იფხანდა კეფას.

მის წინ მოწიწებით თავდახრილი ოფიციალის  
შეგირდი ვილი იღვა, შეკვეთას იღებდა და ხელები  
უქანკალებდა.

— განა ღირდა ამ საცოდვე ღუქანში შემოსე-  
ლა, — ქუხდა კლიენტი, — სად არის ფრანგულად  
შემზადებული თევზის სუფი? ეს რესტორანი კი  
არა, რაღაც გაუგებრობა! დამიხედეთ მომსახურე-  
ბის კულტურას! ჰა-ჰა-ჰა!

ამ ლანძღვასა და ყვირილს ვილი თავაზიანი ღი-  
მილით ისმენდა და როდესაც სტუმარი სულის მო-  
სათქმელად გაჩუმდა, ოფიციალის შეგირდმა მო-  
რიდებით შეჰკადრა:

— მართალი ბრძანდებით, დღესვე ვიზრუნებთ,  
რომ თქვენი სურვილისა და მოთხოვნების შე-  
საბამისად ჩვენთან დაუყოვნებლივ გაფართოვდეს  
კერძების ასორტიმენტი.

— ზღაპრებსა და მიმუნობას თავი დაანებე...  
შტერი ხარ და მეტი არაფერი! — გესლიანად შე-  
აწყვეტინა კლიენტმა და სასადილო დანით ფრჩხი-  
ლების წმენდა დაიწყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმარმა კვლავ ატე-  
ხა აყალ-მაყალი, თითქოს ლუდი მეტისმეტად ცივი  
იყო, არაყი—ძალზე თბილი, სუფი—მლაშე, შნიციე-  
ლი — უმი, სუფრას — ქეციანი ძონძი უწოდა, ყა-  
ვას კი — ნარეცხი.

მზად ვიყავი მეცემნა თავხელი არამზადა, ტყუ-  
ილუბრალოდ რომ ედავებოდა საბრალო შეგირდს.

თვით ვილის კი არც კი ემჩნეოდა აღლევება. ამ  
აუტანელ კლიენტს თავშეკავებულად და თავაზი-  
ანად აძლევდა პასუხს.

სტუმარმა ლუდს ხელი წაჰკრა, სუფრაზე დაღვა-  
რა და მოითხოვა, მეორე კაზხა მომითანეთო. პი-  
რიქით მოსდო შარი: ხედავთ, მაგიდა როგორ ინ-  
ჯღრევავო. ვილი მაშინვე გაიქცა, ლუდი მოუტანა და  
გამოუცვალა სუფრა, რომლითაც სტუმარმა ცხვი-  
რის მოხოცვა მოასწრო.

ვილი მინც უწინდებურად უღიმოდა. მე უკი-  
დურესად აღვფოთდი.

— მისმინეთ, ვილი, — ვუთხარი აღლევებისაგან  
ჩახლჩილი ხმით, — ხომ იცით, რომ ყოველთვის  
თავაზიანი მომსახურების მომხრე ვარ. მაგრამ რის  
ნებასაც ამ ტიპს აძლევთ... მიდით და ლანგარი ისე  
სთხლიშეთ თავში, რომ თვალებიდან ნაპერწკლები  
წამოსცივდეს. რამე რომ იყოს, მე თქვენ გამო-  
გეკომავებით.

— არა, არა, საჭირო არ არის! — შიშნარევი ხმით  
იუარა შეგირდმა — ეს კლიენტი როდია, ჩემი მას-  
წავლებელია. ჩვენ ახლა „თავხედ და აუტანელ  
კლიენტთა მომსახურების“ თემას ვამუშავებთ...  
ხვალ გამოცდას ვაბარებ ოფიციალის კვალიფიკა-  
ციასზე...

— თქვენ რა გეგონათ აბა? — გაიღრიალა მერე, —  
სინამდვილეში რომ ასეთი კლიენტი შემხვედროდა,  
იმავე წუთს საესე მათლავს დავამხობდი თავზე.

გერმანულიდან თარგმნა შ. აშირანაშვილმა

გარეკანის პირველ გვერდზე: ყვავილების ქვეყანა. მეოთხე გვერდზე:  
ზემოთ — თამბაქოს პლანტაციის; ქვემოთ — ხეხილის შეწამლვა. ფოტოები ფერენც  
ფეხერვარისა (უნგრეთი).

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი,  
ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნოლოგიური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/V-65 წ. გამოც. № 76, ჰად. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub>, 1,5 ჰად. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.

პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 1792, უფ 03241

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ქართული  
ბიბლიოთეკა

Handwritten signature in Georgian script.

ნახატები  
გ. შირცხალავასი




— მომეცით საბუთები, თქვენ დაღუეული ხართ!  
— ვინ არი დაღუელი?



— რამ გადაგრია კაცო! რად გინდოდა ამდენი სიგარეტები?  
— პირველი ფაბრიკისაა, თამბაქოს წევას მინდა გადავეჩვიო!

ვერნიხაუზე



Handwritten number: 7.65

Ур. 8/48

ՀԱՄԱՅՆՈՒ  
ԻՆԴԵՔՍ 76056 33

